მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, პამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა!" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

— ბრიანმა შეადგინა ახალი მთავრობა.
— საფრანგეთის გაზეთების ცნობით ერთი [illegible] ფრანკის განიცდის.
— პეკინსა და ტიან-ცზინს შორის მიმოსვლა შეწყდა.
— ფრანგებმა დამასკში წინადადება მისცეს უცხოელებს დასტოვონ ქალაქი.
— გერმანელი მენშევიკები დიდ კამპანიას აწარმოებენ ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ.

ხუთშაბათი, 11 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 56 (1511)

მორიგი ამოცანა

სადაცაა გაცხოველებული მუშაობა დაიწყება სასოფლო მეურნეობაში. მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებიდან მთელი გლეხობა ჩაებმება თესვის კამპანიაში. ეხლა უკვე სწარმოებს საამისო წინასწარი მზადება: ნიადაგის გასუფთავება, ყანების შემოღობვა, სამ. იარაღების წესრიგში მოყვანა, მუშა-საქონლის შეძენა და სხვ.

სასოფლო მეურნეობა ჩვენში სწრაფი აღორძინების გზას ადგია; დაუახლოვდით ომიანობამდე არსებულ ნათესების სივრცეს და პროდუქციის რაოდენობას. წრეულს ამ დარგში უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი, უნდა გაუთანასწორდეთ და შეძლებისდაგვარად კიდევაც გადავაცილოთ ომის წინადროინდელ დონეს.

ამისათვის ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოეჩინოს გლეხობას საგაზაფხულო თესვის კამპანიაში. პირველ ყოვლისა, თავის დროზე უნდა მივაწოდოთ თანამედროვე სასოფლო-სამიურნეო იარაღები იმ გლეხურ გაერთიანებათ, რომელთაც ასეთები გამოთხოვილი აქვთ. აგრეთვე სხვადასხვა რაიონებში უნდა გაიხსნას იარაღების გამქირავებელი პუნქტები. ეს მუშაობა, ცხადია, უნდა ჩატარდეს წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით და დაინტერესებულ ორგანოთა სრული შეთანხმებით. დაგვიანება ამ მხრივ დაუშვებელია: სას.-სამეურნეო იარაღებმა უნდა მოუსწროს გლეხობას ხვნა-თესვის დაწყებამდე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ იარაღების შერჩევას ამა თუ იმ რაიონის პირობების მიხედვით. დღემდე კი არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა სოფელს მისდის ესა თუ ის იარაღი, რომლის მოხმარა იქ ძნელია და პირდაპირ შეუძლებელიც. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს სას.-სამეურნეო იარაღების შემკეთებელ სახელოსნოების მოწყობას სოფლად.

მცირე მნიშვნელობა არა აქვს სათესლე მასალის შერჩევის საქმის მოგვარებას. ცუდი ღირსების და გადაურჩეველი თესლეული ერთ-ერთი მიზეზია სოფლის პროდუქციის მდარე თვისების და შედარებით ნაკლები რაოდენობის.

გარდა ამისა, სოფლად აქა-იქ უეჭველად მოიპოვებიან ისეთი ღარიბი გლეხები, რომელთაც სრულებით არ გააჩნიათ სათესლე მასალა. ასეთ ელემენტებს იგი უნდა მივაწოდოთ სესხად, ან სრულიად უფასოდაც, რამდენადაც ეს მოსახერხებელია.

გაზაფხული და ზაფხული არა მარტო ხორბლეულის დამუშავების პერიოდია, არამედ მრავალი მაღალი კულტურისაც. ყველა ამისათვის საჭიროა სხვადასხვა მასალა, მაგალითად, შაბიამანი და გოგირდი ვენახებისათვის, რაც უნდა დაურიგდეს გლეხობას თავის დროზე და საკმაო რაოდენობით.

ცოცხალი თუ მკვდარი ინვენტარის შესაძენად და, საერთოდ, საწარმოო მიზნებისათვის გლეხობას შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაეხსნას კრედიტი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა და ადგილებზე საკრედიტო ამხანაგობებმა ამისათვის უნდა მიიღონ სათანადო ზომები. თავის თავად ცხადია, რომ კრედიტი მიეცემა არა კულაკს, არამედ საშუალო და ღარიბ გლეხობას.

სოფლად ბლომად მოიპოვებიან ქვრივ-ობლები, წითელარმიელთა ოჯახები, რომელნიც საკუთარი ძალღონით ვერ შესძლებენ მიწების დამუშავებას. საბჭოთა ორგანოები და პირველ ყოვლისა გლეხკომები უნდა მიეშველონ მათ როგორც მუშა-ხელით, ისე ინვენტარით.

ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, მიწათმოწყობას, ნაჭრობითი და დაქუცმაცებული მიწათსარგებლობის მოსპობას.

ამჟამად მიწათმოწყობა მიმდინარეობს აჩქარებული ტემპით. იქ, სადაც ამის საშუალება არის, საჭიროა მისი დამთავრება საყანე მუშაობის დაწყებამდე.

ბოლოს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აგრონომიული რჩევა-დარიგებით გლეხობისათვის დახმარების გაძლიერების საჭიროება. საბჭოთა აგრონომიულ ძალებმა თავი უნდა მოიყარონ სოფლად და მოსახლეობას ხელმძღვანელობა გაუწიონ ხვნა-თესვის საქმეში.

საგაზაფხულო თესვის კამპანია კარწინ გვიდგას. სათანადო ორგანოებმა არ უნდა დააყოვნონ მისი წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღება.

ამერიკის პროფკავშირთა „დემოკრატია"*)

(პროვოკატორებისა და ჯაშუშების ქვეყანაში)

მათი „დემოკრატია"-მხოლოდ თვალთმაქცობაა

მე მინდა იმავე გულახდილობითა და თავისუფლებით ვილაპარაკო, როგორითაც ჩემი ამერიკელი მეგობრები მელაპარაკებოდენ და ამიტომ ნებას მივსცემ თავს ვსთქვა, რომ მთელი ეს ლაყბობა ამერიკული „დემოკრატიის" შესახებ, ჩემი აზრით, **პირწავარდნილი თვალთმაქცობაა.** რა უნდა იყოს „დემოკრატია" პროვოკატორებისა და ჯაშუშების ქვეყანაში? რა უნდა იყოს „დემოკრატია" როკფელერისა და მორგანისა, პინკერტონისა და ბოლდვინფელტცის ქვეყანაში? რა უნდა იყოს იმ ქვეყნის „დემოკრატია", სადაც ზანგებს ლინჩისწესით ასამართლებენ, ხოლო გაფიცულ მუშების დასახიჩრება და სიკვდილი ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა? რა უნდა იყოს იმ ქვეყნის „დემოკრატია", სადაც ტრიუმფით მიმავალ პლუტოკრატიას ერთი თვალის დახამხამება ეყოფა, რომ მას მთელი სახელმწიფოს ძალაუფლება უსირცხვილოდ და აშკარად დაემორჩილოს მთელი მისი სამართალითა, პოლიციითა და მმართველობის აპარატით, რათა მშრომელი ხალხის ექსპლოატაცია შეუჩერებლივ სწარმოებდეს კაპიტალისტურ სისტემის საკეთილდღეოდ? თავი არ უნდა მოვიტყუოთ მმართველობის გარეგნული ფორმებით. თუ ჩვენ გარეგნულ გამოხატულებას არ დავჯერდებით და თვით ფაქტს მივმართავთ, ნათლად დავინახავთ, რომ ამერიკას კაპიტალისტური დიქტატურა განაგებს. ამერიკა საუკეთესო ნიმუშია ახალი ცარიზმისა, ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის, ფინანსიური ოლიგარხიის ცარიზმისა.

ამერიკული პროფკავშირების გაბატონებული ჯგუფი.

ეს არა დემოკრატიული სული ერთნაირად ბატონობს როგორც გაერთიანებულ პროფკავშირებში, ისე ცალკე ორგანიზაციებში. მოძრაობას უპასუხისმგებლო ჯგუფი განაგებს, რომელსაც ფაქტიურად ხელში აბსოლიუტური ძალაუფლება უჭირავს.

მე, მაგალითად, პროფკავშირების ყრილობაზე შევამჩნიე, რომ ყველა მნიშვნელოვან კომისიების თავმჯდომარეს გრინი ნიშნავდა. ყრილობა კი მათ მხოლოდ ავტომატიურად ამტკიცებდა. ამრიგად თავმჯდომარე ნამდვილად ყრილობის მთელ საქმიანობას საზღვრავს. იმიტომ რომ პლენუმი ჩვეულებრივ უკამათოდ ღებულობს კომისიების მოხსენებას. ამ გარემოებით აიხსნება ყრილობის უაღრესად ბიუროკრატიული ხასიათი.

„პარტიობის" სისტემა, რომელიც ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს, ამერიკულ პროფკავშირების ცენტრშიაც ბატონობს და მრავალ ადგილობრივ ორგანიზაციებშიაც. ამიტომ, როცა ეხლანდელმა თავმჯდომარემ, გრინმა, განსვენებული გომპერსის ადგილი დაიჭირა, ყველა პროფკავშირების მოხელეებსა, ორგანიზაციებსა და სხვებსაც, მათი დასახურებისა და გამოცდილების მიუხედავად, გამოუცხადეს, რომ დათხოვნილნი არიან. შემდეგ მათ აცნობეს, რომ ანგარიშს გაუწევენ, თუ ისინი ხელახლა აღდგენას მოითხოვენ.

ყრილობაზე ერთი დამახასიათებელი ამბავი მოხდა, რაიც სრულიად გაუგებარია ინგლისელებისა და, საზოგადოდ, ევროპიელებისთვის: იქ მიიღეს „მოძმე დელეგატი", ცნობილი ფაშისტური ორგანიზაციის, ეგრედ წოდებული „ამერიკული ლეგიონის" წარმომადგენელი. ეს დელეგატი — **მაიორი ჯორჯ ბერრი**— თვითონაც ყოფილი გამოჩენილი პროფკავშირული მოღვაწეა, შემდეგ დიდ ომში იღებდა მონაწილეობას. სამაგიეროდ ამერიკული პროფკავშირებიდან მრავალი ჩვენი საუკეთესო მეგობარი გარეკეს, ე. წ. მემარცხენეობისათვის; ამ გარემოებამ დიდი ზიანი მიაყენა ამერიკის პროფკავშირების მოძრაობას.

პროფკავშირების რასიული ზღუდეები.

ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ფერადკანიან მუშებზე. ამერიკაში რამდენიმე მილიონი ფერადკანიანი მუშაა. ეს გარემოება დიდ ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტა ამერიკულ პროფკავშირულ მოძრაობას მხოლოდ ზერელედ თუ შეუძლია; სანამ კავშირების უმრავლესობა კარებს უკეტავს ზანგის მუშებს, შეუძლებელია ამ ამოცანის გადაწყვეტაზე ლაპარაკი. მართალია, ზოგიერთი ფერადკანიანი მუშა შედის ამა თუ იმ პროფკავშირში, ყრილობას ერთი-ორი ზანგის დელეგატიც კი დაესწრო, მაგრამ ესენი მხოლოდ სახელით იყვნენ დელეგატები და, როგორც სჩანს, სრულიად განმარტოებულნი არიან.

ფერადკანიანმა მუშებმა დაიწყეს საკუთარი პროფკავშირების დაარსება; მაგრამ, როგორც ერთმა ფერადკანიანმა მუშამ მიამბო, ასეთ პროფკავშირების არსებობას არ ითმენენ ჩრდილოეთის შტატებში. შემდეგ იმავე მუშამ მიამბო, რომ ერთხელ, როცა რამდენიმე ასი ფერადკანიანი მუშა გაიფიცა, მათი ადგილები შტრეიკბრეხერებმა დაიჭირეს, და გაფიცვაც დამარცხდა. ეს შტრეიკბრეხერები კი თეთრკანიანები იყვნენ.

ამისდამიუხედავად, თეთრკანიანი მუშები დიდ დამხმარე ძალას წარმოადგენენ ამერიკული პროფკავშირული მოძრაობისათვის. მართალია, მათი მოთხოვნილება უფრო შეზღუდულია, მაგრამ გაფიცვას უფრო დიდხანს იტანენ.

უბრალო მუშა მთლიანობის იდეის მატარებელია.

შეიძლება ვისმეს ეჩვენოს, რომ ამ წერილში მეტად შავი სურათი დავხატე; მაგრამ მე ფაქტები ისე გადმოვეცი, როგორც ინგლისელ მუშას შეეძლო დაენახა. და სიყვარულითა და სიძულვილით არ ვხელმძღვანელობდი. მომავლის იმედი კიდევ არის: მე ამაში ვრწმუნდები, განსაკუთრებით, როცა ამ საუცხოვო კრებებს მოვიგონებ, რომელიც ამერიკის უდიდეს ქალაქებში გაიმართა და სადაც მე შეძლება მომეცა მელაპარაკნა. იქ პროფესიონალურ კავშირების უბრალო წევრები ხარბად ისმენდენ საერთაშორისო მთლიანობის პროპაგანდას და ნამდვილი თანაგრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი თავიანთი ინგლისელი, რუსი და სხვა ერების ამხანაგებისადმი. ამ კრებების აღფრთოვანება მე იმედს მაძლევს, რომ მთლიანობის საქმე, ბოლოს და ბოლოს, ამერიკაშიაც გაიმარჯვებს.

ა. პერსელ.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 55.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა

კომინტერნი თანდათანობით იქცევა მსოფლიო ინტერნაციონალად.—მუშათა კლასის ავანგარდის მიმხრობის შემდეგ ჩვენ უნდა მივიმხროთ მუშათა ფართე მასები.—ბორდიგას შვიდი შეცდომა.—კომპარტიების ბოლშევიზაციამ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა.—უკიდურეს მემარცხენე ელემენტების ცდა დაეპირისპირებიათ კომინტერნის ლენინური პოლიტიკისათვის საკუთარი პოლიტიკა, დამარცხებით დამთავრდა.—პრინციპიალურ საკითხებში კომინტერნი არავითარ დათმობაზე არ წავა.—

სალამი მშრომელ ქალებს

მოსკოვი, 10 მარტი. ზინოვიევი თავის სიტყვის დასაწყისში ეხება ქალთა საერთაშორისო დღეს, რომელიც თანდათან კომპარტიის დღესასწაულად ხდება და რომელსაც სოციალ-დემოკრატები გაურბიან.

ზინოვიევი მოუწოდებს კომინტერნის ყველა სექციებს მეტი ყურადღებით მოეპყრან ქალთა შორის მუშაობას, რასაც ჯერ კიდევ საათანადო ყურადღება არ აქვს მიქცეული. ასეთი არანორმალური მდგომარეობა უნდა მოისპოს.

კომინტერნის სახელით ზინოვიევი ესალმება მთელ მსოფლიოს მშრომელ ქალებს. პლენუმი მქუხარე ტაშით უერთდება ზინოვიევის სიტყვებს.

ბურჟუაზიის შიში

შემდეგ ზინოვიევი ეხება მის მოხსენების გამო გამართულ კამათს და განაგრძობს:

„ჩვენ აქ, ისე საფუძვლიანად და გულმოდგინეთ ვიმუშავეთ, რომ ზოგიერთმა პარლამენტებმა უკვე დისკუსია დაიწყო ჩვენი სესიის შესახებ. გერმანიის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები ამტკიცებენ, რომ ჩვენი პლენუმი მტრულად იყო განწყობილი ინგლისის მიმართ. ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ კომინტერნი ძალიან მეგობრულადაა განწყობილი გერმანიის ჰინდენბურგის მთავრობისადმი?

სხვა გაზეთები ამბობენ, რომ კომინტერნის აღმასკომის ახალ ლოზუნგს წარმოადგენს „ძირს ამერიკა". ჩვენ კი ვამბობთ— არა „ძირს ამერიკა", არამედ „ძირს ამერიკის კაპიტალიზმი". მიუხედავათ კომუნისტურ განვითარების სიძნელისა, ჩვენ ამერიკაში გვყავს მეგობრები და ახლო მომავალში იქ თვალსაჩინო გავლენას მოვიპოვებთ. ამერიკის მთავრობა წინააღმდეგია საბჭოთა კავშირის ცნობისა, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, საბჭოთა მთავრობის წევრები მშვიდათ ელიან ცნობას, რომელიც უნდა მოხდეს და კიდეც მოხდება.

კომინტერნი იქცევა მსოფლიო ინტერნაციონალად

პლენუმმა დღეს უფრო მეტი ყურადღება მიაქცია ამერიკას და ინგლისს, ვიდრე წინად აქცევდა. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ თანდათან მსოფლიო ინტერნაციონალად ვხდებით. ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას არა სხვადასხვა ქვეყნების ბურჟუაზიის, არამედ მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ჩემბერლენმაც კი კონსერვატიულ პარტიის დეპუტატის შეკითხვაზე განაცხადა, რომ ჩვენი პლენუმი იხილავდა არამარტო ინგლისის, არამედ სხვა ქვეყნების მდგომარეობას. ამით მას უნდოდა დაემშვიდებია ინგლისის პარლამენტი (სიცილი).

ჩვენ უნდა დავუცადოთ კიდევ მეორე ინტერნაციონალის განცხადებას კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის შესახებ.

მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობის საკითხი

ამ სესიის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა მივიმხროთ მუშათა კლასის და მშრომელთა უმრავლესობა მას შემდეგ, რაც იდეოლოგიურად მოვიმხრეთ პროლეტარიატის ავანგარდი. ლენინი ერთხელ სწერდა: „ჩვენ იდეურად უნდა მოვიმხროთ პროლეტარიატის ავაგარდი. უამისოთ ჩვენ არ შეგვიძლია გადავსდგათ პირველი ნაბიჯი გამარჯვების მოსაპოებლად". მაგრამ ავანგარდის მომხრობა არ იშნავს სრულ გამარჯვებას. საჭიროა ფართო მასების დაპყრობაც.

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამოცანის პირველი ნაწილი ავანგარდის იდეოლოგიური დაპყრობა—შესრულებულია.

ამჟამად ჩვენ ამოცანას შეადგენს მუშათა კლასის მთლიანობის მიღწევა. ამისათვის ჩვენ უნდა ვეძებოთ არა ის, რაც კომუნისტ მუშებს სთიშავს სოციალ-დემოკრატ და უპარტიო მუშებისაგან, არამედ ის, რაც მათ აერთებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას.

ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენ დავიპყარით მუშათა კლასის უმრავლესობა, მაგრამ ჯერჯერობით საერთოდ მხოლოდ მუშათა კლასის ავანგარდის იდეურად დაპყრობა მოვახერხეთ.

კომუნისტური ავანგარდის გაძლიერება

კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო თათბირს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ორგანიზაცია არ არის თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალებაა. ჩვენთვის საჭიროა ორგანიზაციულად ძლიერი, ელასტიური პარტია. საორგანიზაციო თათბირმა სწორად აღნიშნა, რომ საწარმოო უჯრედი პარტიის საძირკველს წარმოადგენს.

რეზოლიუცია მასების ორგანიზაციულად დარაზმვის შესახებ, კომინტერნის მესამე მსოფლიო კონგრესის რეზოლიუციის დიდ მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს. მას შემდეგ ჩამოყალიბდენ სხვადასხვა სასარგებლო უპარტიო ორგანიზაციები, როგორიც მაგ. „რემედასი" და სხვები. ასეთ ორგანიზაციებს დამატება კიდევ: ომის საშიშროებასთან მებრძოლი კავშირი, აღმოსავლეთ ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება, თავდაცვის პროლეტარული ორგანიზაცია და სხვა. ეს ორგანიზაციები ავანგარდს მასებთან დააკავშირებენ. მაგრამ მათი დაარსებით არ სწყდება არალეგალური მუშაობა რაც დიდძალ მსხვერპლს მოითხოვს.

ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ

ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიხდება ბრძოლა მემარჯვენე და უკიდურეს მემარცხენე გადახრის წინააღმდეგ.

ორივე ეს გადახრა ერთმანეთის დამატებას წარმოადგენს და ამიტომ ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ნიშნავს ამავე დროს ბრძოლას უკიდურეს მემარცხენეობის წინააღმდეგ.

სწორედ ასეთ მაგალითს წარმოადგენს პარტიიდან გამორიცხულ გერმანელი კომკავშირელი შენლაკი, რომელიც კომინტერნის აღმასკომს ესაყვედურებოდა, რომ იგი სათანადო ბრძოლას არ აწარმოებს ულტრა-მემარცხენე გადახრის წინააღმდეგ; მაგრამ ბოლოს თვით შენლაკი სოციალ-დემოკრატების წრეში აღმოჩნდა.

ჩვენ პლენუმზე წარმოდგენილი იყვენ ყველა ულტრა-მემარცხენეები. არც ერთ მათგანს გულწრფელი სიტყვა არ უთქვამს, გარდა ბორდიგასი.

გერმანიაში 3 ულტრა-მემარცხენე გადახრა არსებობს, ასეთივე გადახრას ადგილი აქვს პოლონეთსა და ნორვეგიაში. არც ერთ მათგანს გულწრფელად არ ულიარებია თავისი შეცდომა.

მარჯვენივ გადახრა ხდება საფრანგეთსა, გერმანიასა, ნორვეგიასა, ჩეხო-სლოვაკიასა, ესპანეთსა და ჰოლანდიაში.

ბორდიგას შეცდომები

შემდეგ ამხ. ზინოვიევი ბორდიგას ეკამათება და აღნიშნა, რომ ბორდიგამ აღიარა თავის შეცდომები და დარწმუნდა, რომ კომინტერნი მართალი აღმოჩნდა, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხში, ისე იტალიის საკითხში

კომპარტიების გაძლიერება

შემდეგ ზინოვიევი ეხება პარტიების ბოლშევიზაციის საკითხს და ამბობს, რომ ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა ყველა პარტიების ბოლშევიზაცია, მაგრამ მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავათ, ჩვენმა სექციებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ბოლშევიზაციის დარგში. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია გარდაიქმნა საფაბრიკო-საქარხნო უჯრედების საფუძველზე და შესამჩნევად განმტკიცა, საფრანგეთის კომპარტია ეხლაც აღარ ჰგავს იმ დროის პარტიას, როდესაც მას სათავეში იდგენ ფროსსერი ან სუვარინი. ინგლისის კომპარტიამ გამოიყენა ლენინური ტაქტიკა და ნამდვილ მუშათა პარტიად გადაიქცა. შვეციის კომპარტია ხეგლუნდის გამორიცხვით გამოწვეულ კრიზისის შემდეგ თვალსაჩინოთ იზრდება. ბოლოს იტალიის პარტია უფრო მასიური და უფრო ძლიერი პარტიაა, ვიდრე მაქსიმალისტები და უნიტარისტები (ტურატის ჯგუფი).

გერმანიის კომპარტია მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ 1923 წლის ოქტომბერის დამარცხების შემდეგ იგი თვალსაჩინოთ მოღონიერდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის კომპარტიას, რომელსაც სათავეში ედგა ლენინი და, რომელიც იბრძოდა უფრო სუსტ ბურჟუაზიის და მენშევიზმის წინააღმდეგ, 1905 წლის დამარცხების შემდეგ დასჭირდა დიდი დრო, რომ ფეხზე წამომდგარიყო. გერმანიის კომპარტიას ჰყავს უფრო ძლიერი მეტოქე—სოციალ-დემოკრატია და ძლიერი ბურჟუაზია, მაგრამ მიუხედავათ ამისა მისი ბოლშევიზაცია წარმატებით მიმდინარეობს.

კომინტერნის ხელმძღვანელობის მეთოდები

ბორდიგა აკრიტიკებდა კომინტერნის ხელმძღვანელობის მეთოდებს, მაგრამ გარკვევით არა სთქვა წინააღმდეგია თუ არა ის დისციპლინის და ცენტრალიზაციის. სამოქალაქო ომის მოლოდინში ჩვენ წამოვაყენეთ სასტიკი დისციპლინისა და ცენტრალიზაციის საკითხი. თუ ბორდიგა ფიქრობდა, რომ ჩვენი თეზისები ამ საკითხში სწორია, ხოლო პრაქტიკა კი არ არის სწორი, მე ვაცხადებ, რომ ცალკე სექციებზეა დამოკიდებული ნამდვილ საერთაშორისო ხელმძღვანელობის შექმნა. კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობაში სექციებმა უნდა შეიყვანონ საუკეთესო ძალები, რათა შეიქმნას საერთაშორისო ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

ჩვენ ვლაპარაკობდით შინაპარტიულ ცხოვრების ნორმალიზაციაზე, ე. ი. შინაპარტიულ დემოკრატიაზე. იმ ქვეყნებში, სადაც თეთრი ტერორია გამეფებული, ძნელია შინაპარტიული დემოკრატიის განხორციელება. კომუნისტი მუშები თვითეულ ქვეყანაში უნდა ზრუნავდენ შინაპარტიულ დემოკრატიის გატარებაზე.

ბორდიგა აცხადებს, რომ ის ძველი ლოზუნგის მომხრეა, რომ ჩვენ თითქოს არ გვსურდეს საკითხის ამგვარად დაყენება. მოსკოვი ან ამსტერდამი არ არის საკითხის დიალექტიური დაყენება. მოსკოვის დაპირდაპირება, ამსტერდამისათვის რჩება აგრეთვე პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლაშიც. ბრძოლა კომუნიზმსა და რეფორმიზმს შორის დარჩება იმ ერთიან პროფინტერნში, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფით.

ბორდიგა ფიქრობს, რომ მთლიანობისათვის ბრძოლაში ჩვენ დავხრით კომუნისტურ დროშას. იმის ნაცვლად, რომ ბორდიგამ კომინტერნისაგან ისწავლოს, ის გამოდის კომინტერნის მასწავლებლის როლში. მან უნდა შეისწავლოს ბოლშევიკების და კომინტერნის ისტორია და მაშინ ასე აღარ ილაპარაკებს ბოლშევიკებზე.

მდგომარეობა გერმანიაში

ამჟამად გერმანიაში მზადდება პროლეტარიატის ძალების მეოთხე დასინჯვა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველი სამი დასინჯვა მოხდა **1919, 1921** და **1923** წლებში. მაშინ პროლეტარიატის ბრძოლა უშედეგოთ დამთავრდა. დღეს მდგომარეობა გერმანიაში კომპარტიისათვის უფრო ხელსაყრელია, მხოლოდ გერმანიის კომპარტიამ უნდა აწარმოოს სწორი ტაქტიკა.

კაპიტალისტური გაზეთები სწერენ, რომ მოსკოვი კარგად მუშაობს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად ვერ ვმუშაობთ. მაგრამ ესეც დიდ წარმატებას ნიშნავს, როცა ბურჟუაზია გრძნობს, რომ პარტია ავანგარდსა და მასებს აერთიანებს.

უკიდურეს მემარცხენეების მთავარი შეცდომა

ორატორის აზრით უკიდურეს მემარცხენეების ყველაზე უარესი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ცდილობდენ კომინტერნის საერთო ხაზისთვის დაეპირისპირებიათ თავისი ხაზი. კომინტერნის აღმასკომს უსაყვედურებენ, თითქოს ის ასეთ მოვლენას ურიგდებოდა, მაგრამ ეს ორატორის აზრით სიმართლეს მოკლებულია.

უკიდურესმა მემარცხენეებმა პარტიის უმრავლესობა დაიპყრეს და ხელმძღვანელობაც ხელში ჩაიგდეს, წინააღმდეგ კომინტერნის სურვილისა. კომინტერნი იძულებული იყო დათანხმებოდა ასეთი ცეკას შედგენას, რადგან მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო. ყველა საღი მუშური ელემენტები, რომელნიც ბრანდლერის პოლიტიკით აღშფოთებული იყვნენ, მაშინ მემარცხენე ცეკას მხარეზე იდგენ. ეს ამტკიცებს არა მემარცხენეების ძალას არა კომინტერნის აღმასკომის სისუსტეს, არამედ მემარჯვენეების გაკოტრებას.

კომინტერნი და უკიდურესი მემარცხენეები

ორატორს მოჰყავს ადგილები სხვადასხვა დოკუმენტებიდან, საიდანაც მტკიცდება, რომ კომინტერნის აღმასკომი პასიურად არ უყურებდა ე. წ. მემარცხენე ცეკას შეცდომებს.

ჩვენ,—აცხადებს ის,—სასტიკად ვებრძოდით როგორც მემარცხენეებს, ისე მემარჯვენეებს და ზოგიერთ ცენტრისტებსაც, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ ერთბაშათ პროფკავშირების მაგიერ შეგვიძლია მუშათა კლასის ახალი ორგანიზაცია შევქმნათ. კომინტერნის აღმასკომი, რომ სასტიკად არ შებრძოლებოდა ამ თვალსაზრისს, რუტ ფიშერი და მასლოვი ეხლაც შეცდარ გზაზე იდგომებოდენ.

ფრანკფურტის ყრილობაზე ფიშერი, მასლოვი და უკიდურესი მემარცხენეები ერთი ფრონტით გამოდიოდენ. ეხლა კი რუტ ფიშერი აღიარებს, რომ მისი პოლიტიკა მთლიანი ფრონტის, პროფკავშირების, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებში შემცდარი იყო.

კომინტერნი იძულებული იყო ხელი გამოდებია მასლოვის და რუტ ფიშერის ცეკასათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპარტია, ხომ ცალკე პარტიათ გაითიშებოდა. ბრანდლერიზმის გაკოტრების შემდეგ პარტიის მთლიანობის შენარჩუნება მხოლოდ მაშინ ძველ ცეკას შემწეობით შეიძლებოდა.

გერმანიის კომინტერნის განვითარების გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის უკიდურეს მემარცხენე ხელმძღვანელობის ცდა კომინტერნის ხაზისთვის საკუთარი ხაზი დაეპირისპირებიათ ლენინიზმში „შესწორებით", მარცხით დამთავრდა. უკიდურეს მემარცხენეების დამარცხება მოწმობს არა მარტო იმას, რომ ლენინიზმი გამოსადეგია დასავლეთ ევროპაში, არამედ იმასაც, რომ საერთოდ არ არსებობს სხვა რომელიმე პროლეტარული ტაქტიკა და სტრატეგია.

გერმანიაში სამი უკიდურესი მემარცხენე [illegible] და დავრწმუნდეთ, თუ რამდენად გამართლდება აქ მოსმენილი განცხადებები და იმუშავებენ თუ არა უკიდურესი მემარცხენეები ცეკასთან ერთად.

ჩვენი პოზიცია ულტრა-მემარცხენეების წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვსურს მემარჯვენეების რესტავრაცია. როდესაც ერნსტ მაიერი აცხადებს, რომ ცეკა მის პოლიტიკას ახორციელებს, ცეკა ფხიზლად უნდა მოიქცეს. არ არის სწორი საკითხის იმგვარად დაყენება, რომ გერმანიის კომპარტიის სათავეში უნდა იყოს ან მემარჯვენე, ან ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობა. გერმანიის კომპარტიაში უნდა იყოს ახალი ხელმძღვანელობა და იგი ამჟამად კიდეც არის. ეხლანდელი ცეკა კომინტერნის აღმასკომის დახმარებით განაგრძობს თავის სწორ ხაზს.

მდგომარეობა ცალკე ქვეყნებში.

საფრანგეთში.

საფრანგეთში მდგომარეობა მწვავდება. ამას ამტკიცებს ბრიანის კაბინეტის დაცემა. ამის არდანახვა—საშიშია, მაგრამ მუდამ ძახილი: „ფაშიზმი აწარმოებს შეტევას"— არ არის სწორი.

კრიზისი საფრანგეთში უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. პლენუმის სესიის დროს ჩვენ მივიღეთ უკვე 4 სკანდალიური დეკლარაცია. სუვარინი ამზადებს დიდ კამპანიას. მემარჯვენეები მთელი ფრონტით შეტევაზე გადავიდენ. მოსალოდნელია ანტიბოლშევიკური პარტიის დაარსება სუვარინის მეთაურობით, მაგრამ ასეთი პარტია ხანმოკლე იქნება.

ჩვენ ამოცანას შეადგენს ამ გადახრის აღმოფხვრა, რადგან ისეთ აქტუალურ საკითხებში, როგორც მაროკოს ომი, პროფმოძრაობის მთლიანობა და პარტიის რეორგანიზაციაა, მემარჯვენეები სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებზე დგანან. ამავე დროს ჩვენ უნდა შევეცადოთ მოვიმხროთ მუშები.

მემარჯვენეთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შეუძლია მხოლოდ ერთიან ცეკას. ამიტომ საჭიროა პროფკავშირების საკითხში სწორი გეზის აღება.

საფრანგეთის ცეკას უკანასკნელ პლენუმზე (დამახინჯებულია)... აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი კომუნისტი პროფმოძრაობის მთლიანობის კომიტეტებში აცხადებს: „ჩვენ საკმაოთ ვიმუშავეთ მთლიანობისათვის"-ო. ასეთი განცხადება საშიშარია.

უმთავრეს ამოცანას საფრანგეთის კომპარტიაში წარმოადგენს: მდგომარეობის სწორი ანალიზი, სწორი ხაზი პროფკავშირების საკითხში, ერთიანი ხელმძღვანელობა, რომელშიც ჩაბმული უნდა იქნას კაშენიც. ამას შემდეგ ცეკამ იერიშები უნდა მიიტანოს მემარჯვენეების წინააღმდეგ.

ჩეხო-სლოვაკია

ჩეხო-სლოვაკიის პარტიაში მარჯვენივ გაგახრა ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. ამას ამტკიცებს გულლის და ივანეკის წერილი კომინტერნის აღმასკომისადმი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩეხიის კომპარტიის ხელმძღვანელი რაზმი თავიდან აიცილებს ამ საფრთხეს ისე,რომ მათ არ დასჭირდებათ „ზეგავლენის" მოხდენა ცალკე პირებზე.

მადსენის ინციდენტი

პლენუმის მიმდინარე სესიის დროს ჩვენ მივიღეთ ნორვეგიიდან ცნობა, რომ კომუნისტების ლიდერმა მადსენმა, გაზეთ „არბეიტერ ბლადეტ"-ში მოათავსა ინტერვიუ, რომელშიაც ის აცხადებს, რომ მთლიანობის განსახორციელებლად შესაძლებელია კომპარტიის ლიკვიდაციაც. ნორვეგიის კომპარტიის ცეკამ ერთსულოვნად გაილაშქრა ამ განცხადების წინააღმდეგ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ნორვეგიის კომპარტია შესძლებს იმ პირთა ალაგმვას, რომელნიც მთელი პარტიის ლიკვიდაციაზე ლაპარაკობენ.

ჩინეთში

ჩინეთის სახ. არმიების მდგომარეობა უარესდება. იმპერიალიზმი ზეიმობს და იმედოვნებს, რომ სახალხო არმიები განადგურებული იქნებიან. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სახალხო არმიების მდგომარეობა გამოსწორდება. თუნდაც სახალხო არმიების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდეს, მდგომარეობა ჩინეთში მაინც გამწვავებული დარჩება. ჩვენი პლენუმის აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

ინგლისელ სამთამადნო მუშების ბრძოლა.

ინგლისელ სამთო-მადნო მუშების ბრძოლა ახლო მომავალში ფართო ხასიათს მიიღებს. ეს ბრძოლა სოციალისტურ კატასტროფების დასაწყისს წარმოადგენს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის კომპარტია ამ ბრძოლაში სწორ რევოლიუციონურ გზას გაჰყვება.

საჭიროა მოქმედების პროგრამის შემუშავება.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულმა პლენუმმა უნდა დაავალოს კომინტერნის აღმასკომს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაოს მოქმედების გეგმა მთელი პერიოდისათვის.

გაფართოებული პლენუმი ხელს შეუწყობს მთლიანი ფრონტის განმტკიცებას. რკინის დისციპლინა და ცენტრალიზაცია ძველებურად რჩება. უნდა ვაღიაროთ, რომ წარსული წლების პრაქტიკა ნაკარნახევი იყო სამოქალაქო ომის მოახლოვების პერსპექტივით.

პირობების შეცვლის გამო საჭიროა დისციპლინის და ცენტრალიზმის სხვა ფორმები. მაგრამ ჩვენ უნდა უარვყოთ ძირითად საკითხების ყოველგვარი რევიზიის ცდა.

კლარა ცეტკინის სიტყვით დამარცხება ესტონეთსა, გერმანიასა და ბულგარეთში ამ[illegible] ცდარი იყო. მართალი არ არის. მიუხედავათ სწორი პოლიტიკისა, მარქსი და ენგელსი სასტიკად დამარცხდენ პარიზის კომუნის დღეებში.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკა სწორია, მაგრამ მასში ჩამარხულია საფრთხე. ეს საფრთხე ჩვენ უნდა დავინახოთ და სადაც შემჩნეული იქნება მარჯვენით გადახრა, დაუყოვნებლივ ბრძოლა უნდა დავიწყოთ.

საქმე იმაში კი არ არის თუ ვინ აღმოჩნდა ამ პლენუმზე გამარჯვებული და ვინ დამარცხებული. საჭიროა შეცდომების გამოსწორება.

პრინციპიალურ საკითხებში ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ დათმობას. საჭიროა ზოგიერთ პარტიებში შინაური რეჟიმის შეცვლა.

საჭიროა მეტი დამოუკიდებლობა პარტიულ ხელმძღვანელობის არჩევის დროს. დაუშვებელია პარტიულ ხელმძღვანელობის შეცვლა, სადაც ამას საჭიროება არ მოითხოვს. ხელმძღვანელობის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ძნელია სწორი ხელმძღვანელობის გამონახვა. მაგრამ ზოგიერთ პარტიაში ასეთი ხელმძღვანელობა უკვე არსებობს.

შეცდომების გამოსწორება

ამ პლენუმმა დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის წინასწარმეტყველება კომინტერნის დაშლის შესახებ, არ გამართლდა.

მართალია, არსებობს სადაო საკითხები, როგორც მაგალითად საფრანგეთის და ნაწილობრივ გერმანიის კომპარტიაში, მაგრამ ამ საკითხებს ჩვენ მოვაგვარებთ და უმრავლესობა მოგვარებულია კიდეც.

პოლიტიკური ანალიზი პოლიტიკურ კომისიის დამატებებითი თეზისების პროექტში სწორია. სოციალისტური ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგი შეფარდებული უნდა იყოს კომუნისტურ თვალსაზრისთან. ჩვენი ლოზუნგია: „ევროპის პროლეტარული სოციალისტური შტატები". ჩვენ ამავე დროს მშვენივრად გვესმის, რომ ევროპა არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვსარგებლობთ აღმოსავლეთის დახმარებით და ვსწავლობთ ამერიკის მდგომარეობას, სადაც ძალთა განწყობილება ჩვენთვის არახელსაყრელია, მაგრამ იმედია ჩვენს სასარგებლოთ შეიცვლება.

მე ვფიქრობ, რომ კომინტერნის აღმასკომის პლენუმი შეუერთდება პოლიტიკურ კომისიის თეზისებს იმ რწმენით, რომ ჩვენ ყოველ ძალღონეს ვხმარობთ, რათა გავაერთიანოთ ყველა კომპარტიები მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

(ხანგრძლივი ტაში).

ბრიანმა შეადგინა ახალი მთავრობა

ისევ ბრიანი

პარიზი, 9 მარტი. ბრიანი პრინციპიალურად დასთანხმდა მთავრობის შედგენაზე. საბოლოო პასუხს მისგან მოელიან საღამოს.

პარიზი, 10 მარტი. ბრიანმა განაცხადა, რომ ის დღეს აპირებს კაბინეტის შედგენას.

ბრიანის მთავრობა.

პარიზი, 10 მარტი. „მატენ"-ის ცნობით, საბოლოოდ შესდგა მთავრობა ბრიანის თავმჯდომარეობით. მთავრობაში შედიან: **ბრიანი** — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი, **პიერ ლავალი**—იუსტიციის მინისტრი, **მალვი** — შინაგან საქმეთა მინისტრი, **რაულ პერე**—ფინანსთა მინისტრი, **პენლევე**—სამხედრო მინისტრი, **ჟორჟ ლეიგი**—საზღვაო მინისტრი, **დანიელ ვენსანი**—ვაჭრობის მინისტრი, **დემონზი**—საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, **ლამურე**—სახალხო განათლების მინისტრი, **ჟან დიურან**—მიწათმოქმედების მინისტრი, **ლეონ პერიე**—ახალშენების მინისტრი, **ჟურდანი**—პენსიათა მინისტრი, **დიურაფური**—შრომის მინისტრი.

ბრიანმა თავისი კაბინეტი წარუდგინა დუმერგს და გადასცა მას დეკრეტი ახალი სამინისტროს შედგენის შესახებ. დეკრეტი დღეს გამოცხადებულ იქნება „ჟურნალ ოფიციალ"-ში.

ახალი მთავრობა დეპუტატთა პალატას, ალბად, 14 მარტს წარუდგება.

მთავრობის პარტიული შემადგენლობა.

პარიზი, 10 მარტი. ახალ კაბინეტში შედის დეპუტატთა პალატის 10 წევრი და 3 სენატორი.

პარტიულობის მხრივ: 6 რადიკალ-სოციალისტი, 2 რესპუბლიკანელი-სოციალისტი, 2 მემარცხენე რესპუბლიკანელი, 2 მემარცხენე რადიკალების დეპუტატი და ერთი დეპუტატი, რომელიც არ შედის პარლამენტის არც ერთ ჯგუფში.



არისტიდ ბრიანი

ბრიანი მიემგზავრება ჟენევაში

პარიზი, 10 მარტი. ბრიანი ჟენევაში გაემგზავრება დღეს საღამოთი, ან, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ხვალ დილისა.

მდგომარეობა ჩინეთში

მუკდენის ჯარები ტაკუს მახლობლად

პეკინი, 9 მარტი. უკანასკნელ დღეებში ტაკუს ნავთსადგურის მახლობლად სდგას 5 ტრანსპორტი მუკდენის ჯარებით. ჯარები უცდიან გადმოსხმას.

ჯარებს იცავს 2 ნაღმოსანი. 8 მარტს მუკდენელებმა სცადეს ნაპირზე გადმოსვლა, მაგრამ უკუგდებული იქნენ და სასტიკად დაზარალდენ.

პეკინი და ტიან-ცზინი მოწყვეტილია ერთი მეორისაგან.

ლონდონი, 10 მარტი: „დეილი მეილი"-ის შანხაიელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ტიან-ცზინზე კონტროლის [illegible] მდინარე პეი-ხას ბლოკადის გამო, ჩინეთის ყველა სანაოსნო კომპანიებმა შანხაიში შესწყვიტეს რეისები ტიან-ცზინისაკენ. მხოლოდ ინგლისის კომპანია აცხადებს, რომ შექმნილი მდგომარეობა არ შესცვლის მის ოპერაციებს. პეკინი და ტიან-ცზინი ფაქტიურად მოწყვეტილია ერთი მეორესაგან. სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილია. მდინარეში ნაღმებია ჩაწყობილი.

ტაკუს ფორტები

ბერლინი, 10 მარტი. უცხოელ დიპლომატებს პეკინში განზრახული აქვთ პროტესტი განაცხადონ ტაკუს ფორტების გამაგრების გამო, რაც ეწინააღმდეგება იმ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო ბოქსიორთა აჯანყების შემდეგ.

ფინ-იუი-სიანი უარს ამბობს

პეკინი, 9 მარტი. ფინ-იუი-სიანმა ოფიციალურად უარი სთქვა ჩჟილის პროვინციების—შენსის და ხონანის „დამამშვიდებელ რწმუნებულის" თანამდებობაზე, რომელიც მას შესთავაზა დუან-ცზი-ჩჟუიმ. ფინ-იუი-სიანი აცხადებს, რომ მას საჭიროდ აღარ მიაჩნია დაუბრუნდეს საზოგადოებრივ მუშაობას.

ამერიკა და კანტონის კონფლიქტი

პეკინი, 9 მარტი. სააგენტო „იუნაიტედ პრეს"-ის ჰონკონგელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ ღებულობენ ზომებს იმისათვის, რათა ამერიკა და იაპონია ჩაითრიონ ინგლისსა და კანტონს შორის მომხდარ კონფლიქტში. კორესპონდენტი დასძენს, რომ ამერიკელები, რომელნიც ჩინეთში სცხოვრობენ, ასეთი ჩარევის წინააღმდეგი არიან და აშკარად აცხადებენ, რომ ჩინელების თვალში ეს იქნებოდა ინგლისისათვის სამსახურის გაწევა.

გერმანიის კრედიტი საბჭ. კავშირისათვის

ბერლინი, 9 მარტი. გერმანიის სახალხო მეურნეობის სამინისტროს მემორანდუმში, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა კავშირისათვის 300 მილ. მარკის კრედიტის მიცემის გამო ნათქვამია: **კრედიტების მიცემით გერმანიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში სამჯერ უნდა გაიზარდოს.**

„როტე ფანე" გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მიუხედავათ გერმანიის მთავრობის ოფიციალური მემორანდუმის განცხადებისა, ბანკები და მრეწველები საბჭოთა ორგანიზაციებთან სავაჭრო ხელშეკრულებების დადების დროს დიდ პროცენტებს მოითხოვენ.

„როტე ფანე" აღნიშნავს, რომ პროფკავშირებმა უნდა დაიწყონ ენერგიული კამპანია გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობათა მთლიანად გამოყენების სასარგებლოთ.

ამხ. ტომსკი პარიზში

პარიზი, 9 მარტი. 9 მარტს ტომსკი პარიზში ჩავიდა.

მენშევიკები მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ

ბერლინი, 9 მარტი. სოც. დემოკრატიის ორგანო „ფორვერტსმა" გააძლიერა კამპანია მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ და მოუხშირა პერსელზე თავდასხმას.

„ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარე **პერსელი,**—სწერს გაზეთი—რომელიც თავის თავს სოც. დემოკრატს უწოდებს, სინამდვილეში არის კომუნისტი. როგორც ასეთი, ის ინგლისის პროფკავშირებში და ამსტერდამის ინტერნაციონალში ატარებს კომუნისტური უჯრედების შექმნის პოლიტიკას. პერსელი თვალის ასახვევათ მიესწრაფება მთლიანი ფრონტისადმი. ეს არის მისი ცდა ებრძოლოს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობას ლენინის ცნობილი მეთოდების საშუალებით, ე. ი. პირში ბურთის ჩაჩრის, სიცრუის და ვერაგობის გზით".

სამაზრო აღმასკომების მომავალი არჩევნები

მიმდინარე თვის მარტის 15-მდე მთელს რესპუბლიკაში დამთავრდება სათემო და ქალაქის საბჭოების არჩევნები, ხოლო მარტის 15-დან—30-მდე ყველა მაზრებში ჩატარდება საბჭოთა ყრილობები, რომლებზედაც აირჩევიან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები.

დიდია სამაზრო აღმასკომის უფლება და რთულია მისი მოვალეობა.

სამაზრო აღმასკომს უმთავრესად ეკისრება: **საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა განხორციელება, ყოველგვარ ღონისძიებათა მიღება მაზრის ეკონომიური და კულტურული წარმატებისათვის, ადგილობრივ ხასიათის საკითხების უშუალოდ გადაწყვეტა, ქვემდებარე ორგანოთა მოქმედების ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა და მრავალი სხვა.**

დღეს, როდესაც ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება, როდესაც ფართო მასა პოლიტიკურად და ეკონომიურად იზრდება და საერთოდ საბჭოთა საზოგადოებრიობა ვითარდება, პარტიისა და ხელისუფლების წინაშე წამოჭრილია უდიდესი ამოცანა: **საბჭოთა აპარატების მუშაობის გამოცოცხლება, გაძლიერება, გაუმჯობესება.**

ამ ამოცანის თანდათანობით და წარმატებით გადაწყვეტაში, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, დიდი როლი უნდა ითამაშონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებმა.

რაგინდ კარგად მოეწყოს ცენტრალური ორგანოები, ისინი ხალხის მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებენ, თუ ადგილობრივ არ გვექნება კარგად მოწყობილი აპარატი.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამაზრო აღმასკომები ბევრ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებებს.

რასაკვირველია, არის ხელშემშლელი ობიექტიური პირობებიც, მაგრამ ამით ყოველთვის თავის მართლება არ შეიძლება, ვინაიდან სხვადასხვა ორგანოების მიერ მოხდენილი გამოკვლევების მასალები აშკარად ამტკიცებენ თვით სამაზრო აღმასკომების მუშაობის უუნარიანობას.

უნდა ითქვას, რომ შარშანდელ საბჭოთა არჩევნებში ზოგან არ იყო სათანადოთ შერჩეული სამაზრო აღმასკომების და მათი პრეზიდიუმის შემადგენლობა.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ მთელ რიგ მაზრებში, როგორც ამას გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, აღმასკომების მნიშვნელოვანი განყოფილებები უგეგმო და უშინაარსო მუშაობას აწარმოებენ.

ზოგიერთ მაზრებში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როცა ცენტრიდან მიღებული ცირკულიარები სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და სახელმძღვანელო ხასიათის ინსტრუქციები მაზრაღმასკომის მიერ არც კი იხილებოდენ და იკერებოდენ საქმეში წარწერით, „ცნობად", მაშინ, როდესაც საჭირო იყო მათი მოწოდება თემაღმასკომებისათვის სათანადო განმარტებებით. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი ხელისუფლების ძირითადი და ცენტრალურ ორგანოებს შორის ცოცხალი კავშირის განმტკიცებისა და მაზრაღმასკომების მიერ ძირითადი საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის შესახებ. ასეთი მოვლენა მომავალში დაუშვებელია. ამისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მიმდინარე წლის არჩევნები.

მომავალ სამაზრო საბჭოთა ყრილობებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მაზრაღმასკომებისა და, განსაკუთრებით კი, მათი პრეზიდიუმების ღირსეულ შემადგენლობის შერჩევას.

მაზრაღმასკომების არჩევნების დროს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება უმთავრესად შემდეგ მომენტებს:

უნდა შეიქმნეს აუცილებლად ავტორიტეტული სამაზრო აღმასკომი, ამისთვის საჭიროა სამაზრო აღმასკომის შემადგენლობის რიცხვობრივად გადიდება.

სამაზრო აღმასკომის შემადგენლობის გადიდებით საშუალება მოგვეცემა შევიყვანოთ მასში მნიშვნელოვანი თემების აღმასკომების თავმჯდომარეები და უპარტიო გლეხები და სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

დღემდე სამაზრო აღმასკომები თემებთან ცოცხალი კავშირის დაჭერის მიზნით მოიწვევდენ (თუმცა ძალიან იშვიათად) აღმასკომის გაფართოებულ პლენუმს თემაღმასკომების წარმომადგენელთა თანდასწრებით, ხოლო საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების განსახილველად—თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირს სამეურნეო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მაგრამ ასეთ თათბირების დადგენილებანი დამტკიცებულ უნდა იქნენ აღმასკომის მიერ და, მაშასადამე, ერთის მხრივ, მათ აქვთ სათათბირო ხასიათი და მონაწილენი, აღმასკომის არა წევრები სარგებლობენ მხოლოდ სათათბირო ხმით, რასაკვირველია, ასეთი თათბირები არ არიან ხელისუფლების ორგანოები და არ წარმოადგენენ აღმასკომის მუშაობის ორგანიზაციულ მუდმივ ფორმას.

აღმასკომების შემადგენლობის გაფართოებით, როდესაც შეყვანილი იქნებიან მნიშვნელოვან თემების თავმჯდომარენი, უპარტიო გლეხები და სამაზრო მნიშვნელობის სამეურნეო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, საშუალება მიეცემა ამ უკანასკნელთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ აღმასკომის მუშაობაში, რაც განამტკიცებს ხელმძღვანელ ორგანოსა და როგორც საბჭოთა ძირითად, ისე სხვა საზოგადოებრივ ორგანოებს შორის მჭიდრო და ცოცხალ კავშირს. ეს იქნება იმავე დროს საუკეთესო ფორმა მშრომელთა უშუალოდ ჩაბმისა მართვა-გამგეობის საქმეში.

შარშანდელ არჩევნებში ამ მხრივ იყო დეფექტები.

სათემო საბჭოების მიმდინარე არჩევნებში ამ მხრივ სწორადაა გატარებული პარტიის ხაზი—უპარტიოთა ფართე მასის ჩაბმა საბჭოებში. მაგალითად, თუ 1925 წლის არჩევნების დროს თემსაბჭოებში გაყვანილ იყო უპარტიოთა 67,3%, მიმდინარე არჩევნებში უპარტიოთა რიცხვი გაიზარდა 72,1%-მდე (ცნობები მოცემულია იმ თემების შესახებ, სადაც არჩევნები მარტის 5-მდე ჩატარებულია).

ეს ხაზი უნდა გატარებულ იქნას სამაზრო აღმასკომების მომავალ არჩევნებშიაც.

აგრეთვე, აღმასკომის მომავალ არჩევნების დროს აღმასკომების შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნენ ქალები.

შარშანდელი არჩევნების დროს სამაზრო აღმასკომებში ქალების მეტად მცირე პროცენტი შედიოდა. საქართველოს ყველა მაზრაღმასკომის შემადგენლობაში (აფხაზეთის და თბილისის გამოკლებით) ქალები შეადგენდენ 5%; იყო მაზრები, სადაც აღმასკომში არ შედიოდა არც ერთი ქალი, მაგალითად: ოზურგეთი, ლეჩხუმი, სვანეთი.

ეს ნაკლიც გამოსწორებულ უნდა იქნეს წელს.

თუ გვსურს, რომ ლოზუნგი—საბჭოების გამოცოცხლება და საბჭოთა აპარატების მუშაობის გაუმჯობესება პრაქტიკულად განხორციელდეს, საჭიროა, პირველ ყოვლისა, სამაზრო აღმასკომების და მათი პრეზიდიუმების მეტად დაკვირვებით და ფრთხილად შერჩევა. მაზრაღმასკომის პრეზიდიუმში განსაკუთრებით შერჩეულ უნდა იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც შეეძლებათ მათზე დაკისრებულ მძიმე და ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულება.

საჭიროა მაზრაღმასკომის პრეზიდიუმის წევრი იყოს გამოცდილი და მცოდნე მუშაკი იმ დარგში, რომელსაც მას ჩააბარებენ.

დ. ქუჩულორია.

ერთა ლიგის კრიზისი

ახალზელანდია და ერთა ლიგა.

ლონდონი, 9 მარტი. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩემბერლენს ჟენევაში კერძო თათბირი ჰქონდა ახალზელანდიის წარმომადგენლებთან. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, ახალზელანდიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ინსტრუქცია აქვთ დასთანხმდნენ მხოლოდ გერმანიის დაშვებას ერთა ლიგაში და რომ ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაარღვევენ თავიანთი მთავრობების ინსტრუქციებს.

ბრაზილიის მოთხოვნილება.

ბერლინი, 9 მარტი. გერმანულ გაზეთების ჟენეველ კორესპონდენტების აზრით, ერთა ლიგის სესიაზე შექმნილი მდგომარეობა სახიფათოა, რადგან ბრაზილია აცხადებს, რომ ის ერთა ლიგაში ხმას მისცემს გერმანიის მიღების წინააღმდეგ, თუ მას მუდმივი ადგილი არ დაუთმეს საბჭოში.

ცუდი პერსპექტივები.

პარიზი, 9 მარტი. საფრანგეთის პრესა კვლავ პესიმისტურად უცქერის ერთა ლიგაში შექმნილ მდგომარეობას.

„ინფორმასიონ“-ი სწერს, რომ **კრიზისი, რომელიც ყოფნა არ ყოფნის წინაშე აყენებს ერთა ლიგას, შეუძლია გამოიწვიოს ევროპის ძალთა გადაჯგუფება. გერმანიის გარშემო შემოკრბებიან: შვეცია, ნორვეგია, დანია, ფინეთი, შვეიცარია და ჰოლანდია. საფრანგეთის გარშემო — ლათინთა და სლავიანთა სახელმწიფოები.** გაზეთის აზრით, **ინგლისი ხელს უწყობს გერმანიას მიაღწიოს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას, მაგრამ მშვიდობიანი გზით ის გადასინჯული ვერ იქნება. „ხელშეკრულების გადასინჯვა,**—დასძენს გაზეთი,—**ომს მოასწავებს“.**

პერტინაკსი ნაციონალისტურ „ექო დე-პარი“-ში აღნიშნავს ერთა ლიგის სესიის მონაწილეთა შეურიგებლობას და აცხადებს, რომ „თუ პოლონეთის მოთხოვნილებები უარყოფილ იქნა, პოლონეთი აუცილებლად მოექცევა ჩიჩერინის გავლენის ქვეშ, ან გადაეშვება პილსუდსკის ავანტიურაში“.

გადადებულია.

ბერლინი, 10 მარტი. ქვეკომისიამ, რომელიც დანიშნა ერთა ლიგის პოლიტიკურმა კომისიამ გერმანიის ლიგაში შესვლის საკითხის განსახილველად, დაარსებისთანავე გადასდო თავისი მუშაობა. ქვეკომისიის თავმჯდომარე ჩემბერლენს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ლიუტერთან და შტრეზემანთან ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხზე. ჩემბერლენი მოითხოვს, რათა გერმანიის ერთა ლიგაში შესვლასთან დაკავშირებული ფორმალური პირობების შესრულება გადადებულ იქნეს.

საბჭოს სესიის თავმჯდომარე.

პარიზი, 9 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს ახლანდელი სესიის თავმჯდომარედ არჩეულია პორტუგალიის დელეგატი კოსტა.

თათბირობენ.

პარიზი, 10 მარტი. შტრეზემანს თათბირი ჰქონდა ჩემბერლენთან, ლუშერთან და ბონკურთან ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების შესახებ. გადაწყვეტილ იქნა განახლდეს თათბირი მეორე დღეს დილით.

ერთად-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

პარიზი, 10 მარტი. „მატენ“-ის ცნობით, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ჟენევაში პირველი დღის ერთად-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არავინ არ დაიჭირა შეურიგებელი პოზიცია.

კომპრომისი.

ბერლინი, 10 მარტი. საფრანგეთის დელეგაციამ ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხში წამოაყენა შემდეგი კომპრომისი: გერმანიას დაუყოვნებლივ მიეცემა მუდმივი ადგილი იმ პირობით, თუ ის არ იქნება წინააღმდეგი მიეცეს ასეთივე ადგილები საბჭოს სექტემბრის სესიაზე პოლონეთს, ესპანეთს და ბრაზილიას.

შეურიგებელი.

ვარშავა, 10 მარტი. პოლონეთის პრესის აზრით, საკითხი პოლონეთისათვის ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ არის არა პოლონეთის პრესტიჟის, არამედ ევროპაში მომავალი მშვიდობიანი ურთიერთობის საკითხი. გაზეთები კატეგორიულად უარყოფენ ყოველგვარ აზრს რაიმე დათმობების შესახებ „პოლონეთის სამართლიან მოთხოვნილებებში“.

ესპანეთი იმუქრება.

ბერლინი, 10 მარტი. ესპანეთის დელეგატმა „ვესტმინსტერ გაზეთი“-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ **ესპანეთი გამოვა ერთა ლიგის შემადგენლობიდან, თუ მას საბჭოში არ მიეცა მუდმივი ადგილი.**

მდგომარეობა გამოურკვეველია.

ბერლინი, 10 მარტი. ჩემბერლენის, ლიუტერის და შტრეზემანის შეხვედრის გამო, ჟენევაში განწყობილება ოპტიმისტურია. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც გამოურკვეველი რჩება.

კონფერენციები.

ბერლინი, 9 მარტი. ერთა ლიგის წრეებში იუწყებიან, რომ ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომამ 8 მარტს დაადგინა—მოწვეულ იქნეს საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია 20 აპრილს და განიარაღების წინასწარი კონფერენცია 17 მაისს. განიარაღების კონფერენციის მოწვევის ადგილად დანიშნულია ჟენევა.

მხარს უჭერს პოლონეთს

რომი, 10 მარტი. უკიდურეს ფაშისტების ორგანოს „იმპერო“ ატყობინებენ ოფიციალურ წყაროებიდან, რომ იტალიის წარმომადგენელი ჟენევაში დაჟინებით მოითხოვდა პოლონეთისათვის ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემას. მას მხარს უჭერდა ბრიანი.

იტალიის დელეგატის პოლონეთის სასარგებლოთ გამოსვლამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაზე.

აღმოსავლეთი

პალესტინა

ებრაელთა ლეგიონი.

ანგორა, 9 მარტი. ინგლისის არმიის რეორგანიზაციის გამო პალესტინის სიონისტებმა აგიტაცია დაიწყეს, რომ შეიქმნას ებრაელთა ლეგიონი, რომელიც უნდა შედიოდეს ინგლისის ჯარების შემადგენლობაში.

აზიის მუშების კონგრესი

ანგორა, 9 მარტი. პალესტინის „ხისტადრუთმა“ (ებრაელ მუშათა ორგანიზაცია) იაპონიის პროფკავშირთა ორგანიზაციებისაგან მიიღო მიპატიჟება აზიის მუშათა კონგრესზე მონაწილეობის მისაღებათ. კონგრესი იაპონელთა ინიციატივით მოწვეულ იქნება მიმდინარე ზაფხულში. კონგრესს დაესწრება აგრეთვე ინდოეთის და ჩინეთის პროფკავშირები.

ჰეჯასი

შეთანხმება საფრანგეთსა და იბნ-საუდს შორის

ანგორა, 9 მარტი. საფრანგეთის მთავრობასა და ჰეჯასის მეფეს იბნ-საუდს შორის დადებულია ახალი ხელშეკრულება, რომლის მთავარი მიზანია ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება ჰეჯასსა და სირიას შორის.

იბნ-საუდს ეძლევა მის მიერ დაკავებული ტერიტორიის სუვერენობის სრული გარანტია.

სირია

დამასკის ევაკუაცია

ბერლინი, 10 მარტი. „ნიუ-იორკ ჰერალდი“-ს ცნობით, დრუზების მოსალოდნელ შემოტევის გამო, ყველა უცხოელებს წინადადება მიეცა დასტოვონ დამასკი.

ოსმალეთი

ნავთის ნაწარმოებთა მონოპოლია.

ანგორა, 9 მარტი. ნავთის სინდიკატმა ოსმალეთში მონოპოლიით აიღო ნავთისა და ბენზინის მიწოდება. კონკურენტებად გამოვიდნენ „სტანდარტ-ოილ“-ი და ბელგიის ნავთის საზოგადოება, რომლებიც ნავთის სინდიკატმა დაამარცხა.

ეგვიპტე

ნაციონალური კონგრესი.

ლონდონი, 9 მარტი. ეგვიპტეს ოპოზიციურმა პარტიებმა მოიწვიეს კონგრესი, რომელსაც უკვე დიდი ხანია ამზადებდენ. ინგლისმა ხელი ვერ შეუშალა მას, რადგან კონგრესის იდეა მძლავრად იყო გამჯდარი მთელ ეგვიპტეში.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზაგლულ-ფაშა, რომელმაც ნამდვილი საბრალმდებულო სიტყვა წარმოსთქვა ინგლისისა და ზივარ-ფაშის მთავრობის წინააღმდეგ, და მისი გადადგომა მოითხოვა.

მთელი ყრილობა დიდი ოვაციებით შეეგება ზაგლულ-ფაშას სიტყვას. მემარცხენე ფრთა მოითხოვდა კიდევ უფრო მეტ მხილებას ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ.

პროფინტერნში

ცენტრალურ საბჭოს მეოთხე სესია.

მოსკოვი, 10 მარტი. 9 მარტს საღამოს გაიხსნა პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს მეოთხე სესია. სხდომა აღმასრულებელი ბიუროს სახელით გახსნა ლოზოვსკიმ, რომელიც შეეხო ცენტრალური საბჭოს ამოცანებს. დღის წესრიგის მიღების შემდეგ საანგარიშო მოხსენება აღმასბიუროს მუშაობის შესახებ წაიკითხა პროფინტერნის მდივნის მოადგილემ ნინმა (ესპანეთი).

ჩინელ სამთომადნო მუშების ფედერაციის დეპეშა პროფინტერნს

პეკინი, 9 მარტი. კაილანის სამთომადნო მუშების ფედერაციამ პროფინტერნს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „იმპერიალისტები ცდილობენ ჩაახშონ ჩინეთის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. იაპონია ჯარებს უგზავნიდა რეაქციონერ ჩან-ძო-ლინს. ინგლისი ცდილობდა დაემხო კანტონის მთავრობა. მაშინ, როცა სახალხო არმიები ჩრდილოეთში მრავალრიცხოვან მტრებს ებრძვიან, იმპერიალისტები მაღაროების დახურვით და უმუშევრობის გაძლიერებით ცდილობენ გააძლიერონ ბანდიტიზმი სახალხო არმიის ზურგში და მით ხელი შეუშალონ მის ბრძოლას“.

ფედერაცია პროფინტერნს და ინგლისის სამთომადნო მუშების ფედერაციას დახმარებას სთხოვს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

წერილი ჩეხო-სლოვაკიიდან

მინსკი, 10 მარტი. მიღებულია წერილი ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის წევრებისაგან, რომელნიც საბჭოთა კავშირში იყვნენ. წერილს ხელს აწერს ვაშნიოვსკი, რომელიც იტყობინება, რომ ის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად გამორიცხულია სოც.-დემოკრატ. პარტიიდან და დათხოვნილია სამუშაოდან, კერძოთ [illegible] მოებლეშმა. შემდეგ ვაშნიოვსკი აღნიშნავს, რომ ჩეხო-სლოვაკიის მუშებს შორის იზრდება უკმაყოფილება სოც.-დემოკრატიული პარტიით და ითხოვს დახმარება გაეწიოს უმუშევარ ჩეხო-სლოვაკელებს, რომელთაც სურთ „დონბასში“ იმუშაონ.

მსახიობ ორლენიევის პატივსაცემათ

მოსკოვი, 10 მარტი. 8 მარტს მსახიობ ორლენიევის 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ დიდ თეატრში შესდგა ზეიმი. მთავრობის სახელით მსახიობს მიესალმა განათ. სახ. კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი. სახ. კომისართა საბჭომ ორლენიევს მისცა რესპ. სახალხო მსახიობის წოდება.

სკოლის ხელმძღვანელის მოკვლა

ვიატკა, 10 მარტი. ნალინის მაზრის ტატაურევის თემში მოჰკლეს მოძრავი სკოლის ხელმძღვანელი შაბალინი. მკვლელი — ყოფილი კულაკი — დატუსაღებულია.

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინადადება

მეორე და მესამე ინტერნაციონალის გაერთიანებული კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 9 მარტი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ შეიმუშავა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს მე-2 და მე-3 ინტერნაციონალის წარმომადგენელთა კონფერენცია. რეზოლიუცია, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესიაზე ციურიხში, ამბობს:

„რადგან აუცილებელი ხდება მუშათა კლასის სოლიდარობის განხორციელება კაპიტალისტური და იმპერიალისტური რეაქციის საწინააღმდეგო ბრძოლაში, სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა წინადადება უნდა მისცეს მე-3 ინტერნაციონალის აღმასკომს—მოწვეულ იქნეს გაერთიანებული კონფერენცია, რომელიც განიხილავს გაერთიანებული ინტერნაციონალის დაარსების შესაძლებლობას. დამოუკიდებელი მუშათა პარტია წინადადებას იძლევა არ იქნეს წამოყენებული არავითარი წინასწარი პირობა კონფერენციაზე მონაწილეობისათვის, და მოითხოვს, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი დასთანხმდეს გაერთიანებული ინტერნაციონალის დაარსებას, ისე, რომ თვითეულ სექციას მოქმედების თავისუფლება მიენიჭოს იმ განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიური პირობების მიხედვით, რომელთანაც საქმე აქვთ ამ სექციებს.

დიდი მიტინგი ლონდონში

პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის.

ლონდონი, 9 მარტი. 7 მარტს ლონდონში „ალბერტ ხოლის“ დიდ დარბაზში პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების სასარგებლოდ გაიმართა მიტინგი, რომელსაც 10.000-მდე კაცი დაესწრო.

ლონდონს უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში არ უნახავს ასეთი დემონსტრაცია.

მიტინგზე ილაპარაკეს პერსელმა, ჯორჯ ხიკსმა, ჯონ უიტლიმ და სხვ.

დიდებულ სურათს წარმოადგენდა მიტინგი, როცა მთელმა აუდიტორიამ, როგორც ერთმა კაცმა, გაიმეორა ლანსბერის სიტყვები:

„ჩვენ მოვუწოდებთ ჯარისკაცებს, მეზღვაურებს და მფრინავებს ნურავითარ შემთხვევაში ნუ ესვრიან მუშებს, ხოლო მუშებს მოვუწოდებთ—ნუ შევლენ კაპიტალისტურ ჯარში“.

ეს განცხადება შესანიშნავია მით, რომ ის სავსებით ეთანხმება დეკლარაციას, რომლისთვისაც კომუნისტები პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.

ლორდთა პალატის „რეორგანიზაცია“

ლონდონი, 9 მარტი. კომისიამ, რომელიც ბალდუინმა დანიშნა ლორდთა პალატის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად, უკვე დაამთავრა მუშაობა. პროექტი აღნიშნავს, რომ ინგლისის ზემო პალატა ერთ-ერთი უძველესი არის მთელს მსოფლიოში და ამიტომ მისი უფლებები გაფართოებულ უნდა იქნეს.

საკითხი ლორდთა პალატის რეორგანიზაციის შესახებ აქტუალური ხდება კონსერვატორებისათვის, რადგან მოსალოდნელია მუშათა პარტიის გამარჯვება მომავალ არჩევნებში, რის გამო კონსერვატორებს უნდათ ამ საკითხის დაჩქარებით გადაჭრა, მათთვის ხელსაყრელი ფორმით.

სხვადასხვა

— **პროფკავშირი, რომელშიაც გაერთიანებულია 900.000 წევრი.** ინგლისის ტრანსპორტის მუშების და შავი მუშების გენერალურმა მდივანმა ბევინმა გლაზგოში მიტინგზე განაცხადა, რომ თუ ეხლანდელი მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, დაარსებულ იქნება პროფკავშირი, რომელიც გააერთიანებს 900.000 წევრს. ტრანსპორტის მუშათა კავშირმა, განაცხადა ბევინმა, უკვე მიაღწია 25 პროფკავშირის გაერთიანებას.

— **უარყოფითი პასუხი.** თემთა პალატის კონსერვატიული წევრი ლორდ გენრიხ ბენცინი შეეკითხა ვაჭრობის მინისტრის ამხანაგს სემიუელს — აპირებს თუ არა ის გააფართოოს საექსპორტო კრედიტები ინგლის - საბჭოთა კავშირის აღებ-მიცემობისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის ვაჭრობისათვის.

სემიუელმა უარყოფით უპასუხა.

— **დემოკრატები ანაზღაურების შესახებ.** ამ დღეებში ბერლინში შესდგა დემოკრატიული პარტიის საოლქო კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც უარყოფს ბურჟუაზიული პარტიების პოზიციას ყოფილ მეფის გვარეულობათა მიმართ კომპრომისის შესახებ.

რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ არ იქნება მიღებული წინადადება ამ საკითხის გერმანიის საერთო მასშტაბით გადაწყვეტის შესახებ, დემოკრატები შეუერთდებიან საყოველთაო კენჭის ყრის მოთხოვნილებას.

— **აჯანყება ტრანსიორდანიაში.** „ჩიკაგო ტრიბიუნ“-ის იერუსალიმელ კორესპონდენტის ცნობით ამანში (ტრანსიორდანია) ბედუინები აჯანყდნენ. აჯანყებულთა წინააღმდეგ სასწრაფოდ გაგზავნეს ინგლისის ჯარები. კორესპონდენტის ცნობით მდგომარეობა სერიოზულია.

— **სკანდალი საიდუმლო ფონდის გარშემო იაპონიაში.** სკანდალი, რომელიც გამოიწვია სამხედრო საიდუმლო ფონდის შესახებ გამოქვეყნებულმა მამხილებელმა წერილებმა, ბრძოლის ხასიათს ღებულობს ლიბერალურ წრეებსა, რეაქციონერებსა და ბიუროკრატებს შორის. პარტია „სეიუკაი“ მოითხოვს ამ ცნობების გამომჟღავნების ინიციატორის სეიგო ნაკანოს გამორიცხვას პარლამენტისაგან. სამხედრო მინისტრი უგაკი იმუქრება, რომ გადადგება. ახლო მომავალში დაიწყება საქმის გამოძიება.

— **პოლიტიკურ პატიმრების სიმშილობა ბირმაში.** პოლიტიკური პატიმრები ბირმაში (ინდოეთი) უკვე კვირაზე მეტია სიმშილობენ. სიმშილობა პატიმრებმა გამოაცხადეს პროტესტის ნიშნად ცუდიერი მოპყრობის წინააღმდეგ.

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მეხუთე ყრილობა

მეოთხე სხდომა

10 მარტს დილის სხდომა გაიხსნა 10½ საათზე. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ამხ. გ. ყურულიშვილი.**

საქართველოს პროფსაბჭოს მუშაობა

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება

ამხანაგებო, უკანასკნელი ჩვენი ყრილობის შემდეგ ერთნახევარი წელი გავიდა. ეს განვლილი დრო ხასიათდება მით, რომ ამ ხნის განმავლობაში გაიზარდენ პროფესიონალური კავშირები და საკავშირო მუშაობა გადაიქცა მასიურ მუშაობათ. ქვეყნის ეკონომიურმა მოღონიერებამ გააძლიერა მუშა-მოსამსახურეთა მასების აქტივობა. ჩვენი მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ გამოგვეყენებია ეს აქტივობა და კავშირის წევრთა ფართო მასები ჩაგვება საკავშირო მუშაობაში.

მუშა-მოსამსახურეთა აქტივობის გაცხოველებამ გააძლიერა მათში კულტურული მოთხოვნილებები. ამასთან დაკავშირებით გაღრმავდა და გაფართოვდა კულტურული მუშაობაც. საანგარიშო ხნის განმავლობაში ჩვენს მუშაობაში კიდევ შემოიჭრა ერთი ელემენტი: ეს იყო ჩვენი საერთაშორისო მუშაობა: დელეგაციების შეხვედრა, საზღვარგარეთის პროფორგანიზაციებთან მიმოწერა და ურთიერთობა და სხვა.

კავშირი ადგილებთან საანგარიშო ხნის განმავლობაში გაძლიერდა. ასეთია სართო სურათი.

კავშირების შემადგენლობა

როგორც აღვნიშნე, კავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა. ასე მაგალითად, თუ 1924 წლის ოქტომბერში საქართველოს პროფკავშირებში 111 ათასი წევრი იყო, ამჟამად ეს რიცხვი 136 ათასამდე ავიდა. ზრდა ემჩნევა ყველა კავშირებს და განსაკუთრებით მიწა-ტყისა და ფეიქართა კავშირს.

კავშირების ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირი იყო მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის: ქართველი—63.551, რუსი—17.600, სომეხი—21.993, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნებები. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ პროფკავშირებში იზრდება ეროვნულ უმცირესობათა რიცხვი.

კავშირის წევრთა საერთო ზრდასთან ერთად გაიზარდა პროფაქტივიც. 1925 წლის 1-ლ იანვრისათვის მთელ რესპუბლიკაში საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების რიცხვი უდრიდა 753-ს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ჩვენ მთელ რესპუბლიკაში გვქონდა 1.049 ძირითადი პროფესიონალური უჯრედი. ამრიგათ ძირითად უჯრედების რიცხვი 39%-ით გაიზარდა.

გარდა ამისა, მთელ რესპუბლიკაში სხვადასხვა კომისიების მუშაობაში ჩაბმული არის 8.984 კავშირის წევრი. ძირითად პროფორგანიზაციების ქსელის გაფართოებამ დაუახლოვა მასები საკავშირო მუშაობას, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების მუშაობაში ნაკლიც ბევრია ჯერ. არის ბიუროკრატიზმი და სხვა ნაკლიც, რომლის წინააღმდეგ იბრძვის როგორც პროფსაბჭო, ისე ცალკე კავშირების ხელმძღვანელი ორგანიზაციებიც. ცალკე კავშირების ც. გამგეობების კავშირი ადგილებთან გაიზარდა და გაუმჯობესდა ხელმძღვანელობაც.

სოფლად მუშაობა

პროფკავშირთა საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლად მუშაობას. ამ მუშაობის უმთავრესი სიმძიმე აწევს მიწა-ტყის კავშირს, რომელმაც მიუხედავათ ნივთიერი ხელმოკლეობისა, დიდი მუშაობა ჩაატარა. საკმარისია თუნდაც მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ აღრიცხვაზე აყვანილია 12.159 მოჯამაგირე, დადებულია ხელშეკრულება 7.668 მოჯამაგირესათვის. ამჟამად დაარსებულია 106 მოჯამაგირეთა კომიტეტი, რომელშიც არჩეულია 338 მოჯამაგირე.

საანგარიშო ხნის განმავლობაში გაუმჯობესდა სამაზრო ორგანიზაციების მუშაობაც. მართალია, მათ მუშაობაში იყო ნაკლიც, მაგრამ პროფსაბჭო შესაფერის ხელმძღვანელობას უწევდა მათ. სამაზრო განყოფილებებიდან ამხანაგები ესწრებოდენ პროფსაბჭოს პლენუმებს, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები მიდიოდენ ადგილებზე, ესწრებოდენ ადგილობრივ კონფერენციებს და სხვა.

ჩვენ ვახდენდით აგრეთვე ცალკე კავშირების მუშაობის გამოკვლევას მაზრებში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მუშაობა გაცხოველდა საანგარიშო ხნის განმავლობაში.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ის გარემოება, რომ თუ წინათ სუსტი იყო პროფსაბჭოს კავშირი რკინისგზელების, მეზღვაურებისა და ფ.-ტელეგრაფის მუშაკთა პროფკავშირებთან, საანგარიშო ხნის განმავლობაში ეს კავშირი გაძლიერდა. გამოყოფილ იქნა საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის გამგეობა, დაარსდა მეზღვაურთა კავშირის საქართველოს კომიტეტი, ხოლო რკინის გზებზე ჩვენ ჩავატარეთ საუბნო კომიტეტების გამოკვლევა. ეხლა კი განზრახვა გვაქვს, რკინის გზის პროფკავშირებთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სამუშაო აპარატში შევიყვანოთ ერთი რკინისგზელი ამხანაგი.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა კავშირების ფინანსიურ მდგომარეობაზე, ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობაზე და საწევრო ანარიცხების შემოტანის საკითხზე.

შეეხო რა ახალგაზრდათა შორის მუშაობას, ორატორმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა ამ მხრივ. რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, ის ვერ არის დაყენებული შესაფერის სიმაღლეზე.

ინჟინერ-ტეხნიკური ძალები ამჟამათ მეტ მონაწილეობას იღებენ საკავშირო მუშაობაში. მათ დაარსებული აქვთ თავისი სექციები, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ბიურო. ეს ბიურო სცემს თავის ჟურნალს „ტეხნიკა და ცხოვრება“-ს.

კულტურული მუშაობა

კავშირების კულტურული მუშაობის ცენტრი გადატანილია კლუბებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კლუბების მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში საგრძნობლათ გაფართოვდა და გაღრმავდა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენი კლუბები მასიურ ორგანიზაციებათ გადაიქცენ.

რასაკვირველია, კლუბების მუშაობის გაცხოველება იმას უნდა მიეწეროს, რომ მასების აქტივობა და კულტურული მოთხოვნილებები გაიზარდა.

1925 წლამდის კლუბების მშენებლობის საქმეში ერთგვარ არანორმალურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. საქმე ისაა, რომ თვითეული კავშირი ცდილობდა გაედიდებია თავის კლუბების რაოდენობა, მიუხედავათ იმისა, იყო თუ არა შესაფერისი ნივთიერი და სხვა პირობები მათი არსებობისათვის.

ჩვენ მოგვიხდა კლუბების ქსელის გადათვალიერება და მათი რიცხვის შემცირება. დავსტოვეთ მხოლოდ ისეთი კლუბები, რომელთაც ჰქონდათ არსებობისა და მუშაობისათვის შესაფერისი პირობები.

ამჟამათ მთელ საქართველოში 51 კლუბია, მათ შორის 16 თბილისშია.

კლუბებში გატარებულია ნებაყოფლობითი წევრობა. საწევრო გადასახადი უმეტეს შემთხვევაში 10 კაპეიკია. ეს არ არის საკმარისი; ჩვენ ვფიქრობთ საწევრო გადასახადის გადიდებას.

კლუბები ამჟამათ მასიურ მუშაობის ცენტრად არიან გადაქცეული.

შეეხო რა შემდეგ წითელი კუთხეებისა და ბიბლიოთეკების მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა მათი მუშაობის გაცხოველება. ამჟამათ თბილისში არსებობს 41 ბიბლიოთეკა, რომლებშიც 200.000 წიგნი არის. მაზრებში არის 23 ბიბლიოთეკა 47.638 წიგნით.

კულტმუშაობის დარგში აღსანიშნავია მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ალკვეთის დარგში.

ამჟამათ კავშირის წევრთა შორის მთელ რესპუბლიკაში 3,2% წერა-კითხვის უცოდინარია; ხოლო 73% მცირე მცოდნე. წერა-კითხვის უცოდინარები და მცირე მცოდნეები გაგზავნილი არიან სკოლებში. გარდა ამისა კავშირის წევრთა საგრძნობი ნაწილი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკებში. პროფსაბჭო შესაფერისი ყურადღებით ეკიდებოდა აგრეთვე პროფტეხნიკურ განათლების საქმეს.

სატარიფო - ეკონომიური მუშაობა

საანგარიშო ხნის განმავლობაში პროფსაბჭოს მუშაობა სატარიფო-ეკონომიურ დარგში მიმართული იყო შრომის ნაყოფიერების გადიდების, შრომის ხელფასის დროზე გაცემის მოწესრიგებისა და არსებულ სატარიფო ცხრილში ცვლილების შეტანისაკენ, მისი გაფართოების მიზნით.

შრომის ხელფასის მოწესრიგება ხდება კოლექტიურ ხელშეკრულებების საშუალებით. ამჟამათ წარმოებაში ჩაბმულ მუშათა 75 პროცენტზე ვრცელდება კოლექტიური ხელშეკრულებები.

შეეხო რა ხელფასის საკითხებს ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში ხელფასი საერთოდ გაიზარდა.

კავშირების ეკონომიური მუშაობა [illegible] ამ მუშაობაში ჩათრეული იქნა კავშირის ძირითადი უჯრედები [illegible] საწარმოო თათბირების მუშაობა და ჩაებათ მასში მუშათა ფართო ფენები. ჩვენში საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცდილება არ იყო და ამიტომ ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლს.

საწარმოო თათბირები ხშირად ითვისებდენ ფაბქარხკომების ფუნქციებს და სხვა. გარდა ამისა ეს თათბირები ხშირად ისეთ მოთხოვნილებებს აყენებდენ, რომელთა განხორციელება ფინანსიური და სხვა მოსაზრებების გამო შეუძლებელი იყო.

ამჟამათ, ამ თათბირების მუშაობაში ასეთ მოვლენებს ნაკლებათ აქვს ადგილი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო თათბირებმა საკმაოთ დიდი სარგებლობა მოუტანეს ჩვენს წარმოებებს შრომის ნაყოფიერების გადიდების და სხვა მხრივ.

გადავიდა რა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობაზე, მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლი მათ საქმიანობაში, კერძოთ მუშათა ფრაქციის სისუსტე ზოგიერთ ადგილებზე.

უმუშევრობა

მიუხედავათ იმისა, რომ წარმოება გაიზარდა და ამასთანვე ერთად გაიზარდა მუშათა რიცხვიც, უმუშევრობა არ მცირდება. პირიქით ის იზრდება კიდეც. ასე მაგალითად, 1924 წ. ოქტომბერში 12.351 უმუშევარი იყო, მაშინ როდესაც 1925 წლის ამავე თვეში მათი რიცხვი 13.758 უდრიდა.

უმუშევრობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი საქართველოში მიწის სიმცირეა. გარდა ამისა ჩვენში მოდიან უმუშევრები მეზობელ რესპუბლიკებიდანაც.

კავშირის უმუშევარ წევრებს დახმარებას უწევენ კავშირები და დამზღვევი სალარო.

უცხოელ მუშათა დელეგაციები

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა მუშათა დელეგაციებზე.—საანგარიშო ხნის განმავლობაში საქართველოს რამოდენიმე დელეგაცია ესტუმრა. პროფსაბჭო დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მოძმე მუშათა დელეგაციების მიღებას და სრულ საშუალებას აძლევდა მათ გასცნობოდათ პროფესიონალურ მოძრაობას საქართველოში.

დელეგაციები დიდ ინტერესს იჩენდენ საქართველოს მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობისადმი. ისინი ათვალიერებდენ ქარხნებს, სკოლებს, საავადმყოფოებს და დაწვრილებით ეცნობოდენ ჩვენს მუშაობას.

დელეგაციების საპატივსაცემლოთ რამოდენიმეჯერ მოეწყო მუშათა დემონსტრაცია და გაიმართა პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული საზეიმო სხდომა.

ზოგიერთ დელეგაციებსა და ჩვენს კავშირებს შორის, მათი აქ ყოფნის შემდეგ სწარმოებდა მიწერ-მოწერა.

ასეთი იყო ამხანაგებო დაახლოვებით ჩვენი მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში. (ტაში).

დილის სხდომაზე ამხ. ი. **ქელიძემ** გააკეთა მოხსენება პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ რუსულ ენაზე.

მეხუთე სხდომა

10 მარტს, საღამოს სხდომაზე, ამხ. **მიკირტუმოვმა** გააკეთა მოხსენება სარევიზიო კომისიის სახელით. შემდეგ, სანამ გაიხსნებოდა კამათი ამხ. ყურულიშვილის მოხსენების გარშემო, მოკლე სიტყვით გამოვიდა ყოფილი ემიგრანტი მუშა, უცხოეთიდან ახლად დაბრუნებული ამხ. **გ. სულაქველიძე.**

ამხ. სულაქველიძე

ეხება დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის მდგომარეობას. კერძოდ, საფრანგეთის მუშათა კლასის მდგომარეობას ახასიათებს ამხანაგი—ამ ქვეყანაში მას რამოდენიმე წელი უმუშავნია ფაბრიკა-ქარხნებში.

— საფრანგეთში პროფმოძრაობა შეკვეცილია. მუშათა ორგანიზაციების ხელში არ არის მუშების მიღება-დათხოვნის საქმე. იქ არ არის მუშათა სოციალური დაზღვევა და სხვა. ქარხნებში მუშებისათვის აუტანელი პირობებია შექმნილი. თუ მუშამ რამოდენიმე წუთი დააგვიანა სამუშაოზე, მას ეკარგება მთელი დღის ხელფასი. დასახიჩრება და უბედური შემთხვევები ხშირია ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ დასახიჩრებულ მუშებს არავინ ჰყავს მზრუნველი. მექარხნე მათ ქუჩაში აგდებს, და მუშაობის უნარმოკლებული მუშა მათხოვრობით ირჩენს თავს.

განსაკუთრებით ცუდია მუშა-ქალების მდგომარეობა საფრანგეთში: ქალის ხელფასი უფრო მცირეა, ვიდრე მამაკაცის. მშობიარობის დროს ქალს არ ეძლევა შეღავათი.

კაპიტალისტები მუშებს პირუტყვზე უარესად ეპყრობიან.

კიდევ მეტი. იქ ზოგან შავ მუშებს უფროსების მაგიერ ძაღლები ადგანან თავზე და ძაღლები ამუშავებენ. თუ მუშამ ოდნავ შეისვენა, ძაღლი ჰყეფს, თუ ის შეჩერდა—ძაღლი კანჭებში ეცემა და კბენს.

ცხადია, ეს გარემოება მუშებზე შესაფერის გავლენას ახდენს, და ისინი ირაზმებიან იმისათვის, რომ გაინთავისუფლონ თავი კაპიტალისტების ბატონობისაგან.

ჩვენ, საქართველოდან გადახვეწილი ემიგრანტები დავრწმუნდით, რომ ეგრედ წოდებულ „თავისუფალ დემოკრატიის“ ქვეყანაში—საფრანგეთში, მუშათა კლასი დამონებული და უფლება აყრილია. ჩვენ დავბრუნდით ისევ აქ, ჩვენს ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასი განაგებს თავის ბედ-იღბალს და სადაც წითელი დროშა ფრიალებს (ტაში).

ამხ. მელნიჩანსკი

ადასტურებს ამხ. სულაქველიძის ნაამბობს და კიდევ უფრო ვრცლად ასურათებს ევროპის მუშათა კლასის მდგომარეობას.

ამხ. სულაქველიძისა და მელნიჩანსკის გამოსვლის შემდეგ დაიწყო კამათი ამხ. ყურულიშვილის მოხსენების გარშემო.

კამათი ამხ. ყურულაშვილი მოხსენების გარშემო

ამხ. კაკაბაძე (თელავი)

აღნიშნავს, რომ ც. გამგეობები და პროფსაბჭოს წარმომადგენლები ზოგ მაზრებში ხშირად დადიოდენ, ზოგან კი სულ არა. საჭიროა ყველა მაზრების დათვალიერება ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ. მაზრაში კულტმუშაობა მოისუსტებს ნივთიერ ხელმოკლეობის გამო. ადმინისტრატორები ადგილებზე არ უწევენ ანგარიშს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების დადგენილებებს. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ მომავალში ეს არ მოხდეს.

ამხ. მკრტიჩიანი (თბილ. მაზრა)

მაზრაში მოიკოჭლებს კულტურული მუშაობა. პროფკავშირები უნდა იღებდენ მონაწილეობას ბიუჯეტის შედგენაში, რადგან ხშირად კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარება არ ხერხდება ბიუჯეტში შესაფერისი კრედიტის უქონლობის გამო. სარევიზიო კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობა ესაჭიროება ცენტრიდან.

ამხ. ბარამიძე (თბილისი)

მიაქცევს ყრილობის ყურადღებას მილიციის მუშაკთა ხელფასის სიმცირეზე, განსაკუთრებით პროვინციაში და მოითხოვს ამ საკითხის მოწესრიგებას. ის მოითხოვს აგრეთვე ზომების მიღებას ადგილებზე ხელფასის დავალიანების ალსაკვეთად.

ამხ. ხვედელიძე (ჭიათურა)

კავშირებში ხშირია გაფლანგვის შემთხვევები. გამფლანგველები ხშირად დაუსჯელები რჩებიან. ჭიათურაში, აღმშენებელთა კავშირში გაფლანგვის შვიდი შემთხვევა იყო და შვიდივე გამფლანგველი ჯერ დაპატიმრებულიც არ არიან. არ ისჯებიან აგრეთვე შრომის კანონების დამრღვეველები.

მაზრებში მასიური მუშაობის დასაყენებლათ შესაფერის სიმაღლეზე საჭიროა საგანგებო კომისიის გაგზავნა ამ მუშაობის ფორმების გამოსამუშავებლათ.

ამხ. ღლონტი (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირი)

იწონებს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის საერთო ხაზს და მიუთითებს, რომ საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა სამაზრო ორგანიზაციებისათვის, მათი მუშაობის გაჯანსაღებისა და ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

ამხ. კობახიძე (ქუთაისი)

აღნიშნავს, რომ სოფლად დაარსებულია სამდივნოები, მაგრამ მათი მუშაობა მოისუსტებს, რადგან მათ არა აქვთ შესაფერისი მატერიალური ბაზა.

საღამოს სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **კინწურაშვილმა** (თბილისი), **კაკულიამ** (თელავი), **კაუფმანმა** (თბილისი), **ოსტიაშვილმა** (დუშეთი), **ალლამემ** (თბილისი) და სხვებმა.

კამათი გადაიდო 11 მარტის დილის სხდომისათვის. მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაწერილია მრავალი ორატორი. აღსანიშნავია, რომ კამათი დიდი სიცხოველით მიმდინარეობს და ფრიად საქმიან ხასიათს ატარებს.

პარტიული ცხოვრება

მეორე რაიონის საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია

2 მარტს შესდგა თბილისის ორგანიზაციის 2 რაიონის საბჭოთა კომუჯრედების ბიუროების კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა მუშკოოპის, დაზღვევა სალაროს და უმაღლეს სამეურნეო საბჭოს კომუჯრედების მდივნების მოხსენებანი თავის მუშაობის შესახებ, და აგრეთვე საინსტრუქტორო მოხსენება საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ. მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი, სადაც აღინიშნა მთელი რიგი მიღწევებისა უჯრედების მუშაობაში; ამხანაგები მიუთითებდენ ნაკლოვანებებზეც. დაბოლოს კონფერენციამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა უჯრედების მუშაობის გამოსასწორებლად.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ბიუროები არ იკრიბებოდენ თავის დროზე, ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი ბიუროების სხდომის დრო განსაზღვრული იქნეს; ამ სხდომებზე წინდაწინ უნდა ირჩეოდეს უჯრედის დღის წესრიგი. სასურველად იქნა ცნობილი, რომ უჯრედის წევრებზე ერთნაირად იქნეს განაწილებული პარტიული დავალებები.

აღსანიშნავია, რომ უჯრედების ბევრი წევრი პოლიტიკურად მოუმზადებელია, ისინი არ ყოფილან ჩაბმული პოლიტსკოლებში. კონფერენციამ აუცილებლად სცნო, რომ ბიუროებმა რაიკომებს საავ-საპროპაგანდო განყოფილებასთან შეთანხმებით ჩააბან ზევით დასახელებული ამხანაგები ახლად გახსნილ პოლიტსკოლებში.

უკანასკნელ დროს იშვიათად ხდებოდა უჯრედების ღია კრებები, რასაც ცუდი გავლენა ჰქონდა უპარტიოთა შორის მუშაობაზე; ბიუროებს ავალებს კონფერენცია გაახშირონ უჯრედების ღია კრება.

ამა თუ იმ დაწესებულების გამგე ხშირათ აკეთებდეს უჯრედში მოხსენებას დაწესებულების მდგომარეობის შესახებ და ამნაირათ აცნობდეს უჯრედს იმ ღონისძიებებს, რომელიც განზრახულია ამა თუ იმ დარგში. უჯრედიც ყოველი ღონით უნდა ეხმარებოდეს დაწესებულების გამგეს პარტიის ხაზის გატარებაში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უპარტიოთა შორის მუშაობას, მათ შორის პარტიის გავლენის განმტკიცებას და მათ საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოვებას.

უჯრედებს ევალებათ თავისი მიღწევები და ნაკლულევანებები ფართოდ გააშუქონ პრესაში.

საბჭოთა უჯრედების ერთ უმთავრის მოვალეობას შიადგენს ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და აპარატის გამარტივება და გაუმჯობესება.

ა. კონდაკჩიანი.

ქალთა შორის მუშაობა თელავის მაზრაში.

დღეს ჩვენი სოფლის ქალი ის აღარ არის, რაც იყო წინედ. მან უკუ აგდო კარჩაკეტილი ცხოვრება. დაადგა ახალ გზას და მამაკაცთან ერთად ჩაება ჩვენი ცხოვრების თითქმის ყოველ სარბიელში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თებერვალში მომხდარ საბჭოთა არჩევნებში ქალებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღეს და არჩეულ იქნენ კიდეც როგორც საბჭოში, ისე, ალაგ-ალაგ, თემალმასკომში.

ქალთა შორის მუშაობას აწარმოებს მაზრ-პარტკომის ქალთა განყოფილება, ამ განყოფილებას მჭიდროდ აქვს გაბმული ქსელი და არც ერთი სოფელი არ იქნება, რომ შეკავშირებული არ იყოს მასთან.

განყოფილებასთან არსებობს კოლეგია, რომლის სხდომები იმართება თვეში ორჯერ.

მუშაობას აწარმოებენ პარტიულ, პროფესიონალურ, შრომის დაცვის, ქალთა უფლებრივ მდგომარეობის და სხვა ხაზით.

ქალთა ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს სხვადასხვა კამპანიების ჩატარებას ქალთა შორის. უკვე ჩატარდა კამპანია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, კოოპერაციის შესახებ, სალიკვიდაციო სკოლების, გლეხქალთა კუთხის, წითელ ჯვრის, რემედასის, საბჭოების და სხვადასხვა.

ქალთა განყოფილება აერთიანებს 3500 მეტ ქალს.

წარსულ წელს ამათგან ჩაბმულ იყვნენ: სალიკვიდაციო სკოლებში 639 ქალი, პოლიტწრეებში 204, კურსებზე და პარტ-სკოლებში 41, სხვადასხვა საზოგადოებაში 560.

კოოპერაციის გამგეობებში და სარევ. კომისიებში გაყვანილი 5 ქალი, რწმუნებულათ 8, წევრებათ 250. ეს რიცხვი რასაკვირველია მცირეა, რაიც აიხსნება თვით კოოპერაციის ორგანიზაციის სისუსტით.

მოწყობილი იყო 11 გლეხ-ქალთა კუთხე.

დელეგატ-ქალთა შორის გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა, რამაც მოგვცა 300 ცოტათ თუ ბევრად აქტიური მომუშავე ქალი. შარშან საბჭოებში გავიდა 119 ქალი, გლეხკომებში 29, საბჭოთა სექციებში 35. დელეგატ ქალთაგან სეზონურ სამუშაოზე გაიგზავნა ქარხანაში 350 ქალი.

ეს ცნობები ეკუთვნის განვლილ საანგარიშო წლის მუშაობას. ამ წლიდან, მიუხედავად ხელმძღვანელთა სიმცირისა, მუშაობა არ შენელებულა.

ვან—ლი.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბის უჯრედში

პარასკევს, 5 მარტს, შესდგა შეერთებული კრება „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის და არმიის პოლიტგანყოფილების კომუჯრედებისა გარნიზონის შენობის საკომენდატოში. დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის კომუჯრედის 6 თვის ანგარიში, უჯრედების მოქმედების მუშაობის გეგმა მარტის განმავლობაში და საშეფო კომისიის მოხსენება სოფლებთან დაახლოვების შესახებ.

უკანასკნელი საკითხის გარშემო ბევრი აზრი გამოითქვა, მაგრამ დადებითი მუშაობა სოფლის საშეფო კომისიის მოხსენებიდან მხოლოდ მიწერ - მოწერაში და ლიტერატურის გადაგზავნით დაახასიათა მომხსენებელმა.

სავეგმო მუშაობის შესახებ პოლიტგანყოფილების კომუჯრედის წარმომადგენლის ამხ. ფანცხავას მოხსენება შეერთებულმა კრებამ მოიწონა და ზოგიერთი შესწორებების შემდეგ გეგმა სცნო მიზანშეწონილად მარტში ჩასატარებლად.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის კომუჯრედის მუშაობის შესახებ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგორიანმა, რომელმაც გააცნო შეერთებულ კრებას კომუჯრედის წარსული მუშაობა და ის მიღწევები, რომელიც ჰქონდა კომუჯრედს ამ დროის განმავლობაში. გარდა ამისა, კომუჯრედის სხვა ამხანაგებმაც გააშუქეს ზოგიერთი საკითხები და გააცნეს ამხ. წითელ არმიელებს პარტიული მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის კომუჯრედის ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ შემდეგისათვის უფრო ახლო იქონიონ კავშირი ამ ორმა შეერთებულმა კომუჯრედებმა და გააცნონ ერთი - მეორეს როგორც წითელარმიელთა პარტიული და საბჭოთა მუშაობა გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშებს, ისე სტამბის მუშების მუშაობა და პარტმიღწევები წითელარმიელებს; გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ ხშირ - ხშირად იქნეს ასეთი შეერთებული კომუჯრედების კრებები, რაც ერთი - მეორესთან აახლოვებს წითელარმიელს და მუშას.

პარტკორი უ—ნი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

დელეგატ ქალებში

(ს. ორულ ერგეტა, ზუგ. მაზ.).

ამ თემში დაარსდა დელეგატ ქალთა ორგანიზაცია, რომელშიც ითვლება 30 ქალი. ამაშია ლ. კ. კავშირის წევრი—5, დანარჩენი კი უპარტიო. მეცადინეობა სწარმოებს ყოველთვის 15—25 რიცხვებში. დელეგატი ქალები ეცნობიან სხვადასხვა დაწესებულებებს. მუშაობას, ერკვეიან საბჭოს მუშაობაში, გლეხკომის მოვალეობაში, კოოპერაციის მნიშვნელობას. გამოწერილი აქვთ გაზეთები.

მ. მორიელი.

ქალთა მუშაობა

(ს. აკეთი, გურია).

სამი თვეა რაც სოფელ უეთში დელეგატ ქალების გადარჩევა მოხდა. ახალი არჩეული დელეგატ-ქალები ენერგიულათ მუშაობენ. დელეგატ-ქალებს შორის 6 ქალი მასწავლებელია, რომლებიც მუშაობენ ენერგიულათ ამ ორგანიზაციაში. ისინი აგრეთვე აწარმოებენ დელეგატ-ქალებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. დიდ დახმარებას უწევს ქალთა მუშაობას აკეთის უჯრედი.

აკეთელი.

თემკომი უმდივნოთ

ს. კ. ჩოხატაურის (გურია) სათემო კომიტეტი აერთიანებს 3-4 კომუჯრედს. აგერ თვე ნახევარია, რაც ხსენებული თემკომი მიტოვებულია უმდივნოთ და შიგ გაერთიანებული კომუჯრედები მოკლებული არიან ყოველგვარ ხელმძღვანელობას.

ეს სამწუხაროა მით უმეტეს დღეს, როდესაც სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა საბჭ. არჩევნებისათვის. საჭიროა სამაზრო კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას.

შ. გ—ძე.

რა მოგვცა პოლიტსკოლამ?

(ს. ნუკრიანი, სიღნაღის მაზრა).

სოფ. ნუკრიანში მოძრავი პოლიტსკოლა დაარსდა 1926 წლის 1 იანვარს. პოლიტსკოლაში ირიცხებოდა 30 მსმენელი; ამათში 15 პარტიის წევრია, 5 კომკავშირელი და 10 პარტიის თანამგრძნობი. მეცადინეობა მიმდინარეობდა სისტემატიურათ კვირაში ოთხჯერ, საღამოობით. მეცადინეობა სწარმოებდა საუბრის სახით, რაც მსმენელებში იწვევდა დიდ ინტერესს და გულმოდგინეობას; საუბრის მოთავების შემდეგ ხელმძღვანელი აძლევდა შეკითხვას როგორც განვლილ საუბრებიდან, აგრეთვე ახალი საუბრიდან. აღსანიშნავია ის, რომ, მსმენელებს რომ ეგრძნოთ განვლილი საუბრების შეთვისების აუცილებლობა, ხელმძღვანელი ავალებდა მათ მოხსენების გაკეთებას რიგ-რიგათ განვლილ საუბრებიდან. ამით მსმენელები ეჩვეოდენ როგორც თვითმოქმედებას, აგრეთვე ლაპარაკს და თავისი აზრის გამოთქმას ამა თუ იმ საკითხზე. პოლიტსკოლის მეცადინეობას ესწრებოდენ აგრეთვე უპარტიო გლეხებიც, რომელნიც მონაწილეობდენ კამათში და შეკითხვების მიცემაში. მარტის პირველში უკვე მოხდა ამ სკოლის გამოშვება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სკოლამ დიდი ნაყოფი გამოიღო. წინეთ ზოგიერთ პარტიის წევრს არავითარი პოლიტიკური ცოდნა არ ჰქონდა, ამ სკოლის გავლის შემდეგ მან ბევრი რამ შეიძინა! უკეთესი იქნება ასეთი პოლიტსკოლა დაარსებულ იქნეს ყველა სოფლებში და თემებში.

მიტო მესტიაშვილი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

დამნაშავენი პასუხს აგებენ

(ს. თერჯოლა, შორ. მ.)

მიწის ყიდვა-გაყიდვას, რომელიც ხდება იჯარის სახით, მაინც არ ეღება ბოლო. მაგალითად თერჯოლის თემში (შორ. მ.) სადაც ერთსა და ორ პირს დაუსჯელათ შერჩა ასეთი კომბინაციები, მიწის გაყიდვის სენმა საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ჰყიდიან მალულად მიწებს ერთმანეთის შემწეობით და, თუ ვინმემ რაიმე უთხრა, მაშინვე მიუგებენ: „ვის, რა ესაქმება, ჩემი ნაოფლარი და მონაპოვარი მევე მოვიხმარო“-ო. ასე ამბობენ კანონიერების დამრღვევნი შინაურ ლაპარაკში, ხოლო თუ საქმე საქმეზე მიდგა და შემჩნეულ პირს პასუხი მოეთხოვა, ის მაშინვე გიჩვენებს იჯარის მოწმობას და დაიწყებს მტკიცებას, რომ მისი მოქმედება კანონის ფარგლებს არ გაშორებია. ამავე დროს საქმე შინაურულათ უკვე მოხერხებულია და მოიჯარადრე თითქოს იჯარით აღებულ მიწას თავის საკუთრებათ სთვლის.

ცხადია ასეთ იჯარას არაფერი რეალური მნიშვნელობა აქვს და ის მხოლოდ ხელს უწყობს ბოროტმოქმედების გავრცელებას. ამიტომ თვითეულ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოიქცეს, როცა საქმე მიწის იჯარით აღებას ეხება. საჭიროა ნამდვილი იჯარა გავარჩიოთ არა იჯარისაგან. ეს თემსაბჭოებს ყველაზე მეტად შეუძლიათ, რადგან ისინი ახლო დგანან გლეხების ცხოვრებასთან და იციან, რა აიძულებს ერთს და მეორე მხარეს მიწის იჯარით გაცემა-აღებაზე.

აქ საჭიროა მხოლოდ სინამდვილის წინაშე განზრახ თვალები არ დავხუჭოთ და საქმის ნამდვილი ვითარება, როცა ის მდგომარეობს მიწის ყიდვა-გაყიდვაში, არ დავფაროთ კანონის სახელით. ჩვენმა თემმა ამ მხრივ უკვე მიიღო ზომები. ალმასკომის ფხიზელ თვალს ვერ გამოეპარა მიწის მალული ყიდვა-გაყიდვა. დღეს უკვე რამდენიმე დამნაშავე მიცემულია ამის გამო პასუხისგებაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ბოროტმოქმედებას ყველაზე მეტად სოფლის ბობოლები სჩადიან. მას შემდეგ, რაც ალმასკომმა ასეთი გადამწყვეტი ზომები მიიღო, მიწის ყიდვა-გაყიდვა საგრძნობლად შემცირდა თემში. ეხლა საჭიროა მხოლოდ გამოძიება კანონის მთელი სისასტიკით სწარმოებდეს და დამნაშავეებს ღირსეული სასჯ. მიეზღოს. ამით ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ საბჭოთა კანონიერებისადმი პატივისცემას და სოფლის ბობოლებს ღარიბ გლეხთა ადგილ-მამულიდან ძარცვის საშუალებას მოუსპობთ.

თერჯოლელი ვალია.

სიმონეთელი ოქროპირი

მოდი და ნუ დაგწყდება კაცს გული, რომ ასეთი ოქროპირი ორატორი, რომელიც თავის მჭერმეტყველობით ქვასაც აალაპარაკებს, შორაპნის მაზრის სოფელ ზედა-სიმონეთში უსარგებლოთ იკარგება. იღუპება კოწია ლომთაძის იშვიათი ნიჭი, გაუფურჩქვნელათ იმერეთის სოფლის ორღობეებში, როცა მას შეეძლო დამშვენებია საფრანგეთის და თუნდაც თვით ლორდთა პალატის მაღალი ტრიბუნა.

თვე ისე გაივლის და ზოგჯერ წელიწადიც, რომ ზემო-სიმონეთში ერთი ისეთი კრება არ შესდგება, სადაც კოწიას შეეძლება ერთხელ მაინც გაანავარდოს ხალხის წინაშე თავისი იშვიათი ორატორული ნიჭით. იცდის კოწია დაღონებული, გულში იკლავს განუკურნავ ხვაშიადს, რომ ბედმა ის ასე დასაჯა და მოღვაწეობის ასპარეზათ იმერეთის პატარა სოფელი მიუჩინა. მოთმინება, როგორც მოგეხსენებათ, კარგი საქონელია, მაგრამ სანამდი უნდა ეთმინა სიმონეთელ ოქროპირს. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. და აი, ერთხელ, როგორც იქნა, გადასწყვიტა კოწიამ დაემცირებინა თავი და იმის შესამოწმებლათ, თუ რამდენად სცოცხლობს კიდევ მასში უკვდავი ნიჭი, აიღო სიტყვა სალაპარაკოთ.

ეს იყო ზედა და ქვედა სიმონეთის გლეხების საზოგადო კრებაზე, სადაც დღის წესრიგში იდგა ადგილობრივ ეპოს გამგეობის გადახალისების კითხვა. „ღრმათ პატივცემულო საზოგადოებავ, დაიწყო ორატორმა და თანვე ხელში ჩაიხველა ხმის ჩასაწმენდათ, ნება მიბოძეთ თქვენი კეთილშობილური ყურადღება მივაპყრო იმ უაღრესად, ფრიად, მეტის-მეტად საგულისხმო კითხვას, როგორიცა არის კოოპერატივი. მაგრამ რათ გინდათ თქვენ სიმონეთის ეპო? აიღეთ ინგლისის კოოპერატივები. თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ რობერტ ოუენი, კოოპერაციის მამა, ინგლისელია. კოოპერატივებიც ინგლისური. მითხარით. საქონელიც ბევრია, მორიდება და თავაზიანობა კიდევ უკეთესი, იაფათაც ვაჭრობენ, ნოქრები ისე არიან გამოწყობილი, როგორც ჩვენში ექიმებიც არ იცვამენ, ხალხიც განათლებული და შეგნებულია... არ ღირს, პატივცემულო საზოგადოებავ ლაპარაკათ ჩვენი კოოპერატიული ჩხირკედელაობა. რათ გინდათ საწევრო გადასახადს რომ იხდით, სჯობს ეს ფულები შალომა მეწვრილმანე რომ ჩამოივლის, მასთან დახარჯოთ, ბავშვს ერთ პერანგს მაინც შეუკერავთ“... მიჰყვა და მიჰყვა ასე ჩვენი ოქროპირი და კოოპერაცია მიწასთან გაასწორა.

ვინ იცის სანამ იჭიკჭიკებდა ასე ინგლისის მოთაყვანე კოწია, რომ ის იქ დამსწრე მოწინავე გლეხებს არ შეეჩერებინათ და ფარდა არ აეხადათ იმ ფარულ ზრახვებისათვის, რაც ასე აგალობებდა პატივცემულ ორატორს. არ დაუჯერა სიმონეთელ გლეხებმა კოწიას მოწოდებას. შალომა მეწვრილმანეს მათ მაინც კოოპერატივი არჩიეს, არა ინგლისური, რასაკვირველია, არამედ სიმონეთის ეპო. წევრების რიცხვი დღითი-დღე იზრდება, ვაჭრობაც ფართოვდება.

დადის დღეს სიმონეთის ორღობეებში გულდადაგული ორატორი, ენაზე კბილებს აჭერს. არ გაუმართლდა ნახტომი. ვერ დააფასა სოფელმა დიდი ნიჭი. ვინ გაანთავისუფლებს მას ამ ტანჯვიდან, ვინ გამოიყვანს კოწია ლომთაძეს ინგლისის ასპარეზზე?

ყორწოხელი.

წინ, განათლების გზით

(ცაიში, ზუგდ. მ.)

იშვიათია ჩვენს თემში ისეთი გლეხი, რომელსაც ჟურნალ-გაზეთი არ ჰქონდეს გამოწერილი. ქოხ-სამკითხველოს საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ის სცემს ყოველკვირეულ კედლის გაზ., რომელშიაც თემის ყველა კუთხიდან გლეხი კორესპოდენტები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. ქოხ-სამკითხველოსთან არსებობს „საცნობარო მაგიდა“, სადაც გლეხს შეუძლია ადვილად მაინც გაერკვიოს არსებულ კანონებში.

თემის განაპირა ადგილებში არსებობს წითელი კუთხეები, სადაც ადგილობრივი, განათ. მუშაკთაგან იკითხება ხმა-მაღლა ჟურნალ-გაზეთები. შავი ზღვის რკ. გზის მუშებიც გლეხობაში ავრცელებენ სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.

საუბედუროთ ჩვენი თემის ქოხ-სამკითხველო მოთავსებულია ადგილობრივი 7 წლ. სკოლის შენობაში, სადაც ოთახი მეტად პატარაა და სამკითხველოსათვის გამოუსადეგარი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ცაიშის გლეხობა ამ ნაკლსაც იოლად გამოასწორებს.

ლიმი.

ნურც ჩვენ დაგვივიწყებთ

(შორაპნის მაზრა)

ჯანსახკომი, როგორც ვიცით, დიდ ყურადღებას აქცევს პროვინციებში თვალის ექიმობის საქმეს და კიდეც იყო წარსული წლის ზაფხულში დაგზავნილი პროვინციებში თვალის საექიმო სამი რაზმი. სახელდობრ: ლეჩხუმის, რაჭის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრებში და კახეთში. მხოლოდ ასეთი რაზმი ჯერ არ ყოფილა შორაპნის მაზრაში, რაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს მაზრისათვის. მაზრაში ბევრია თვალის ავადმყოფობით დაავადებული.

ამჟამად გადაწყვეტილი ჰქონია ჯანსახკომს გაგზავნოს დასავლეთ საქართველოში თვალის საექიმო მოძრავი რაზმი, რაზმის ნაწილი აუცილებლად უნდა მოხვდეს შორაპნის მაზრასაც, რითაც საშუალება მიეცემა გლეხობას თუ თავიანთ სახლში არა, ცოტა მოშორებით მაინც განიკურნოს თვალის ავადმყოფობისაგან.

ბ. გ.

სუფთა წყალი ჯანმრთელობის საწინდარია

(კაცხი, შორ. მ.)

თემის თვალსაჩინო ადგილზე, მოედანზე წარსულ ზაფხულზე შეუდგენ წყალსადენის გამოყვანას, რომელიც ამჟამად მოთავებულია. აქ ეხლა მორაკრაკებს მშვენიერი ანკარა წყალი. დიდ გაჭირვებას განიცდიდა წყლობის მხრივ გლეხობა. როგორც ნიკოლოზის, აგრეთვე მენშევიკების დროსაც. მათ სცადეს წყალსადენის გამოყვანა, მაგრამ გლეხების თხოვნა მთავრობისადმი დახმარების შესახებ ყოველთვის უყურადღებოთ რჩებოდა.

დიდი დახმარება გაგვიწია წყალსადენის გამოყვანაში ამხ. ფ. მახარაძემ, რომელიც შარშან ზაფხულში ეწვია ჩვენს თემს და ადგილობრივად გაეცნო გლეხების გაჭირვებას. გლეხებმა, როცა დაინახეს დახმარება მთავრობიდან, არ დაიშურეს არაფერი და უსასყიდლოთ მუშაობდენ წყალსადენის გამოყვანაზე.

ბ. გ-ძე.

უმართებულო ბრალდება

გაზ. „კომუნისტი“-ს № 24-ში მოთავსებული იყო მოკლე შენიშვნა ს. თერჯოლის (შორ. მ.) ქოხ-სამკითხველოს გამგის უმოქმედობის შესახებ. გაცნობებთ, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. გამგე ყოველთვის თავის დროზე აღებს სამკითხველოს, დახმარებას უწევს გლეხობას: რჩევა-დარიგების მიცემით, განცხადებების დაწერით და სხვა.

სამკითხველოს საბჭო.

უსარგებლო დადგენილება

(სკრა, გორის მ.)

ძლიერ გახშირდა თემალმასკომების მიერ დაუმტკიცებელი სავალდებულო დადგენილებების გამოცემა. ხანდახან ეს დადგენილებები სრულიად არ ატარებენ საზოგადოებრივ ხასიათს. მაგ. სკრის თემის ალმასკომს გამოუცია დადგენილება ერთ ეკზემპლიარად თავმჯდომარის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით, რომელიც გამოუკრავთ ამავე სოფლის სამკითხველოში. დადგენილებაში სწერია შემდეგი:

„სასადილოში ხმამაღლა ლაპარაკი, ჩხუბი და ლანძღვა-გინება სასტიკად აკრძალულია. დამრღვევი ამა დადგენილებისა დაჯარიმებული იქნება 100 მანეთით, ან სამი თვის ციხით.

როგორც სჩანს თანხა ზომაზე ბევრად დიდია. საეჭვოა, რომ რომელიმე მოქეიფემ, რაც უნდა შეძლებას კაცი იყვეს ის, ასეთი ჯარიმა გადაიხადოს. სასამართლოშიაც ყოველთვის დამნაშავეს ვერ მისცემ. ასე რომ ამგვარ განცხადებას არავითარი აზრი არა აქვს და სარგებლობის მოტანაც არ შეუძლია. საჭიროა ამგვარი საკითხები თემალმასკომებმა მაზრასთან შეათანხმონ.

სიკო.

აქაც უნდა მოგვარდეს

(თერჯოლა, შორ. მ.)

თერჯოლის თემში ბევრია ხაფონდო ტყეები. სოფ. ღვანკითში ბაგრატიონისაგან ჩამორთმეულ ადგილებში ხშირად ძალადობით შედიან და ჩეხავენ ტყეს. არის ისეთი ადგილები, სადაც ტყე სრულებით არ ვარგობს, ამ ადგილებს, რომელიც უვარგისია ტყისათვის, ადგილობრივი ალმასკომის შუამდგომლობით მაზრის საადგილმამულო განყოფილება აძლევს უღარიბეს გლეხებს სამოსახლოთ. ბევრ ადგილებში, როგორც გაზეთებიდან ვიცით, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები უკვე გადასცეს ღარიბ გლეხობას. საჭიროა თერჯოლის თემშიაც მოგვარებული იქნეს ეს საკითხი, რომელსაც დღითი-დღე მოელის ჩვენი მშრომელი გლეხობა.

ვალ-ია.

წერილებიდან

ს. ტყვიავი, (გორ. მ.)

— აქაც გაჩნდნენ. გამფლანგველები აქამდე ხშირი იყო სხვადასხვა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, მაგრამ თემალმასკომში ის იშვიათი მოვლენა იყო, განსაკუთრებით ჩვენს თემში არ ჰქონია ამ სენს ნიადაგი. ბოლო ხანს გამოირკვა, რომ ჩვენ თემალმასკომის მდივანს სამადაშვილს გაუფლანგავს თემის ფული ათასი მანეთი. სამადაშვილი ეხლა გორის გამახლში ზის, მაგრამ, როგორც ხმები დადის ამ საქმეში სხვებსაც გასვრილი აქვს ხელი. საჭიროა სასტიკი გამოძიება.

ტყვიაველი გლეხი.

ს. ქვედა-სიმონეთი, (შორ. მ.)

— ბავშვს მოერია. აქაურ ბორანზე მიხაკო სულამანიძემ სცემა ბარდაველიძის მოჯამაგირე ბავშვს დაბოლოს წყალში გადაგდება დაუპირა.. ბავშვის ტირილი იქაურობას იკლებდა. „მიშველეთ, მიხაკო მკლავსო“. ალმასკომი დაიცავი უპატრონო ღარიბი ბავშვი.

კოლტა.

ზუგდიდი

— მატყუარა მწყემსის არაკი გვემართება. აქ დაარსდა ხანძართან მებრძოლი რაზმი. ჩამოჰკიდეს ზარი, რომლითაც უნდა გაეფრთხილებინათ მოქალაქენი ცეცხლის გაჩენის შესახებ. მაგრამ ზარის მოხმარა არ იციან. როგორც კი ორი ვინმე მოკინკლავე ჩხუბს ასტეხს, მაშინვე გაჩნდება გულშემზარავი ზარის რეკა. შეშინებული მოქალაქენი ყოველი კუთხიდან გამორბიან და საყვედურით ბრუნდებიან უკან. საჭიროა უთავბოლო რეკას ბოლო მოეღოს, რომ მატყუარა მწყემსის არაკი არ დაგვემართოს.

ქუჩილი.

დ. საჩხერე, (შორ. მ.)

— რა იქნა ხალხის ფულები? ორი თვე იქნება რაც ადგილობრივათ შეკრებილი იქნა 850 მან. ცეცხლის საქრობ იარაღის შესაძენათ. რა ბედი ეწვია ამ ფულს არავინ იცის. ამბობენ ის საჩხერელ ვაჭრების ხელშია და „საქმეში“ აქვთ მათ დაბანდებული. მაზრამ უნდა გამოარკვიოს ხალხის ფულის ბედი.

გლეხიშვილი.

სოფლის ქრონიკა

◆ ძველი სამტრედიის და ოპოფის უბნის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე ადგილობრივ სკოლის ოთხწლედით გადაკეთების შესახებ.

◆ **ხიდი.** შემოქმედის (გურია) თემალმასკომმა დაადგინა მდ. ბჟუჟზე გააკეთოს ახალი ხიდი, რომელიც 1923 წ. წყალდიდობამ დაანგრია.

◆ **საკრედიტო ამხ-ბა.** სოფ. ბოგდანოვკას (ახალ. მაზრა) მოსახლე დუხობორებმა დაადგინეს ააგონ ახალი შენობა საკრედიტო ამხანაგობისათვის.

◆ **სესხი მეფუტკრეებს.** ახალქალაქის სამაზრო ალმასკომმა დაადგინა მისცეს სესხათ მეფუტკრეთა ამხანაგობას 1.000 მან.

◆ **დუშეთის** სამაზრო გლეხკომთან დაარსდა ქალთა შორის კულტურული მუშაობის მწარმოებელი განყოფილება.

ეკონომიური ცხოვრება

ჩვენი მრეწველობა

ბორჯომის სამრეწველოები

სატყეო მეურნეობა

ბორჯომის ხე-ტყის სახერხ ქარხნების ნაყოფიერება შედარებით გასულ წელთან დაახლოებით 35 პროცენტით გადიდდა, მიუხედავათ იმისა, რომ ბორჯომის სააგარაკო რაიონში საგრძნობლად შემცირებულ იქნა მოსაჭრელი ტყის ნორმა. დიდი მიღწევები არის აგრეთვე ტყეების კულტივიზაციის, სანიტარიის და დაცვის დარგებში. გასულ წელს სათანადოთ მოწესრიგებული და მოწყობილ იქნა აგარაკის ბაღები, პარკები, სასეირნო ხეივნები და სხვა. გაფართოებულ იქნა აგრეთვე სანერგეების და საცდელ მინდვრების მოედნები, ხელახლა შეკეთებულ იქნა სასახლეების ყვავილნარები, დარგულ იქნა ახალი ნერგები და დაყოფილ იქნა უბნებად ტყეების სააგარაკო რაიონი.

ქარხნების ტეხნიკური მოწყობა

ქარხნების ტეხნიკური მოწყობის დარგში გასულ წელს გაკეთებულ იქნა შემდეგი: მინის ქარხანაში დადგმულ იქნა ორი ახალი ღუმელი-ვანა 20 ნომრისათვის. შეკეთებულ იქნა აგრეთვე შენობა.

ნაწილობრივი რემონტი გაუკეთდა წყლის ჩამომსხმელ ქარხანას, რომელიც აღჭურვილ იქნა აგრეთვე გაუმჯობესებულ იარაღით.

გასული წლის განმავლობაში სწარმოებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ბორჯომის სახერხ ქარხნებთან საკასრე ქარხნის მოსაწყობად.

ახალ დაბის სახერხ ქარხანაში დადგმულ იქნა ახალი დაზგა და მოწყობილ იქნა ახალი ტურბინი.

ელექტროფიკაციის დარგში—მოხდა წაღვერის, დაბის და ცემის ელექტროფიკაცია. შესრულებულ იქნა აგრეთვე დიდი მოსამზადებელი მუშაობა ბორჯომის ახლო მდებარე სოფლების ელექტროფიკაციოდ.

მინერალური წყლები

ბორჯომის მინერალური წყლების ექსპორტი 1925—26 წელს ავიდა 3.500.000 ბოთლამდე, ე. ი. 1924—25 წლის ექსპორტს (1500.00 ბოთლი) 130% გადააჭარბა.

საერთოდ ბორჯომის წარმოებებში გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 30%-ით გადიდდა. ნაყოფიერების ზრდასთან შეფარდებით იმატა აგრეთვე შრომის ხელფასმაც.

საბინაო მშენებლობა

აღსანიშნავია აგრეთვე საბინაო მშენებლობის წარმოებებიც. გასულ წელს აგებულ იქნა მუშათა მთელ უბანში—10 ახალი სახლი და შეკეთებულ იქნა 6 ძველი სახლი.

შამგონის ხე-ტყის ქარხანა

სატყეო ტრესტი ამ ჟამად მუშაობს შამგონის (ზუგდიდის მაზრა) ხე-ტყის სახერხ ქარხნის გასაფართოებლად.

შამგონი მდებარეობს მდ. ენგურის ნაპირას, სვანეთის საზღვარზე და წარმოადგენს ერთად-ერთ მოხერხებულ ადგილს ხე-ტყის ქარხნის ნაყოფიერ მუშაობისათვის.

სატყ. ტრესტმა გადასწყვიტა აღნიშნული ქარხანა გააფართოოს და მოაწყოს ახალი სისტემის მანქანებით, ვინაიდან იგი იმ სახით, რა სახითაც არსებობს დღეს, ვერ ასწრებს სვანეთის მდიდარი სატყეო რაიონის დაკმაყოფილებას.

სხვათა შორის, ამ ქარხანაში გადმოტანილი იქნება ხონის გაუქმებულ ქარხნიდან ყველა მანქანები და ხელსაწყოები.

განზრახულ გეგმით გაფართოებული ქარხანა სავსებით შესძლებს დაამუშაოს ის დიდძალი ნედლეული მარაგი, რითაც ამ ჟამად სავსეა აღნიშნული რაიონი. ქარხნის გაფართოებასთან ერთად, მუშათა რიცხვი გადიდებული იქნება რამდენიმე ასეული კაცით.

მომჭირნეობის დასაცავად

ზედნადები ხარჯების შემცირება ა.-კ. ნავთსადგურებში

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსებულია საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიაც შედიან ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ა.-კ. ფინსახკომის, საგარეო ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს, ნავთსადგურების განყოფილების და ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

კომისიამ უნდა გამოარკვიოს ზედნადები ხარჯების შემცირების პირობები და საშუალებები ამიერ-კავკასიის ნავთსადგურებში.

კომისიას უკვე ჰქონდა რამოდენიმე სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა საკითხები სანავთსადგურო გადასახადების, კერძოთ სანავთსადგურო საფუთო გადასახადის და საწყობების ქირის შემცირების შესახებ. ამას გარდა განხილული იქნა საკითხები რკინიგზის ბათომის საქალაქო სადგურის საკომისიო გადასახადების, ვაგონების მისაწოდებელი, გადასახადების და სხვა ხარჯების შემცირების შესახებ.

კომისიამ თავისი შემადგენლობიდან გამოყო ორი მომუშავე ქვე-კომისია, რომელიც დაამუშავებს და შეისწავლის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. ქვე-კომისიების მუშაობის პროცესში გამოირკვა, სხვათა შორის, რომ საბოლოო დასკვნის გამოსატანად ამა თუ იმ ხარჯების შემცირების შესახებ საჭიროა დამატებითი მასალების შეგროვება ადგილობრივ.

ამის გამო საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით ბათომში და სოხუმში მიემგზავრებიან კომისიის წევრები ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან და ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოდან.

კოოპერაცია

თბილისის მუშკოოპის საქმიანობა

(1925-26 წლის პირველი მეოთხედი)

ამ ჟამად თბილისის მუშ. კოოპერატივს ჰყავს ქალაქში—23.715 წევრი. მუშკოოპის საპაიო თანხა უდრის 47.284 მანეთს. საშუალოთ თვითეულ წევრზე მოდის 2 მანეთი. გარდა ამისა თბილისის მუშკოოპში წევრებად ჩარიცხული არიან ახლომდებარე სოფლების გლეხობა. მუშკოოპში ჩარიცხულ გლეხურ მეურნეობათა რიცხვი უდრის 3.021 კაცს. მათ მიერ შეტანილი საპაიო თანხა—9.337 მანეთს.

საშუალოდ ყოველ გლეხ-წევრზე მოდის 3 მანეთი 7 კაპიკი.

4 თვის (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და იანვარი) განმავლობაში თბილისის მუშათა კოოპერაციის სავაჭრო განყოფილების მაღაზიებიდან ცალობით გაყიდული ყოფილა 2.701.116 მანეთის საქონელი, სასოფლო განყოფილებიდან 270.437 მანეთის რძე და რძის პროდუქტები, სამრეწველო განყოფილებიდან 710.300 მანეთის პური; სულ თბილისის მუშკოოპს 4 თვეში გაუყიდია 3.681.853 მანეთის საქონელი—ე. ი. ოცჯერ მეტი, ვიდრე 1922 წლის პირველ კვარტალში.

მუშკოოპის 1924—25 წლის სამეურნეო მუშაობას ახასიათებენ შემდეგი ციფრები: გასულ სამეურნეო წლის მუშკოოპის მთელი სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 10.454.624 მანეთს. აქედან უშუალოდ მომხმარებელზე გაყიდულა 9.765.685 მანეთის საქონელი.

მუშკოოპის სავაჭრო-სამრეწველო ქსელი ქალაქში ასეთია: მუშკოოპს აქვს 4 საწყობი, 167 მაღაზია, (საერთო—20, უნივერსალური—4, სპეციალური—2, საბაზრო—2, პურის სავაჭრო—34, ქართული ფურნე—98, წარმოებებთან არსებული დახურულ-გამწესრიგებელი—7), ფურნე—126, საკვები პროდუქტების ფაბრიკა და საკანდიტრო—2, საძეხვე—1, ელექტრო-[illegible]—1, რძის ნაწარმოების მექანიკური ქარხანა—1, სასოფლო რაიონებში—12 კოოპერ. დუქანი, 2 საწყობი, 1 ფურნე, ერთი მექანიკური ერბო-ყველის ქარხანა და 7 რძის ქარხანა.

გარდა ამისა მუშკოოპს აქვს სასოფლო-სამეურნეო ფერმა საკუთარი ძროხების ჯოგით, შვეიცარული და თუშური ყველის ქარხანა.

ერთი წლის განმავლობაში გამოცხობილია 980.400 ფუთი პური, საკანდიტრო ქარხანას დაუმზადებია 95.838 მანეთის საქონელი, საკვები პროდუქტების ფაბრიკას—7.352 ფუთი საქონელი,—სულ 109.233 მანეთის.

სასოფლო-სამეურნეო ფერმას დაუმზადებია—1.420 ფუთი შვეიცარული ყველი და 750 ფუთი თუშური. ყველა წარმოებები მომგებიანია.

11 მარტისათვის მოწვეულია მუშკოოპის რწმუნებულთა კრება, რომელმაც უნდა შეაფასოს ერთი წლის საქმიანობა.

მუშათა ცხოვრება

„პროტექცია მინდა“

(ამბავი ფელეტონის მაგიერ)

კვირა დღე იყო. ერთი უმუშევარი კამოს ძეგლთან სკამზე შემოჯდა და მწარედ ამოიოხვნეშა.

— დასწყევლა ღმერთმა მოვკვდი კაცი სიარულით და რაც მინდოდა მაინც ვერ ვიშოვე.—უცებ წამოიძახა მან.

— რას დაეძებ, ამხანაგო, რა გინდა, რომ იშოვო?

— პროტექცია, ძმობილო!

— პროტექცია?!

— ჰო, სოფლიდან რომ მოვდიოდი, იქ მითხრეს, თუ პროტექცია არა გაქვს იქ სამუშაოს ვერ იშოვნიო.

— კარგი და სოფელში სამუშაო არა გაქვს? რად დაანებე თავი სახნავ მიწას?

— რით მოვხნა, ძმაო საქონელი ჭირმა გამიწყვიტა და რაც მქონდა გავყიდე და აუცილებელ საჭიროებას მოვახმარე. დავრჩი მარტო ხელა კაცი და ქალაქს მოვაშურე სამუშაოდ, მაგრამ ის რაღაც ვერანაა „პროტექცია“, ვერსად ვიშოვე.

—როგორ თუ ვერ იშოვნე, კაცო, საყიდელი ხომ არ არის პროტექცია?!

— რა ვიცი, ძმაო, ჩამოვედი თუ არა სოფლიდან, ავლაბრის ბაზარზე ვიკითხე და იქ სიცილით მითხრეს:

— წადი ერევნის მოედანზე და იქ რომ ქალები დადიან დიდი რედიკულებით ხელში იმათ სთხოვე და ისინი გასწავლიანო თუ სად იშოვება პროტექციაო. რა ვქნა, ძმაო, ში,იმათ სთხოვე და ისინი გასწავლიანო, თუ მე არავის არ ვიცნობ და რომელ ქალს უნდა მივმართო პროტექციისათვის!

— მე გამეცინა და უთხარი: ძმობილო შესაძლებელია, იმათ ჰქონდეთ პროტექცია, მაგრამ შენთვის კი ახლა ძნელია მისი შოვნა.

— მაშ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? მასწავლე მაინც, ვინ მომცემს პროტექციას.

— პროტექციას იძლევა ისეთი ადამიანი, რომელიც რაც უნდა უვარგისი მუშა-მოსამსახურე იყოს, მაინც საქმეს უშოვნის და თუ გინდა ძალიან გამოცდილი კაცი იყო შენ საქმეში, მაინც დაგტოვებს უსაქმოდ ქუჩაში.

— ამას ხომ ჩვენებურად „ნათლიმამობას“ ეძახიან.

— მართალია და სწორედ ასეთი „ნათლიმამობაა“ ჩვენში ბევრგან გავრცელებული, რის გამო ბევრი პატიოსანი მუშა-მოსამსახურე საქმის მცოდნე უპატრონოდ და უსაქმოდ დადის ქუჩაში.ამ ბოროტებას სასტიკად ებრძვის ჩვენი ხელისუფლება და კიდეც გვრწამს, რომ მას აღმოფხვრის იგი ძირიან-ფესვიანად.

მუშა ამბალი.

ეს საქმეც უნდა მოგვარდეს

(ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს საყურადღებოდ)

დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში რომ წარმოებამ აიწია ყველა წარმოებებში, ამას გვიმტკიცებს ყოველდღიური მოხსენებები და გამოქვეყნებული ციფრები. მე მინდა ვსთქვა მხოლოდ ა.-კ. რკ. გზის სამასალო მთავარ საწყობზე.

ჩვენ რკ. გზებზედაც წარმოებამ საგრძნობლად აიწია და მეტად საჭირო შეიქნა ყოველ-გვარი მასალაც როგორც რკინეული, აგრეთვე ხე-ტყის მასალა და სხვა მრავალი, რომელიც ინახება მთავარ საწყობში თუმცა ა.-კ. რკ. გზის მთავარ საწყობის ტერიტორია არც ისე ცოტაა, (უჭირავს 4-5 დესეტინამდე) მაგრამ, რადგან აუარებელი მასალები მოდის, საწყობის ტერიტორია ვერ იტევს მას, (არამც თუ განყოფილებები და ყაზარმები, არამედ მინდორიც). ეს მასალები მუშებს მუშაობაშიც უშლის ხელს, უადგილობის გამო და გვიანდება, თვით მასალები კი ცის ქვეშ ჰყრია როგორც რკინეული, აგრეთვე ხე-ტყის მასალა. უმთავრესად აქ გასაჭირშია აუარებელი ხე-ტყის მასალა; ჯერ ხომ აწვიმს, ათოვს, მას და შემდეგ მზე ახურებს და ამის გამო მასალა უვარგისდება, თოვლი და წვიმა ასველებს, ალპობს, მზე კი გრეხს.

მას მეტი მუშაობა სჭირდება გამზადებაზე ან უვარგისი გამოდგება, და თუ ძალაუნებურად გაკეთდა, ის აუცილებლად უვარგისი გამოდგება: ამისათვის აუცილებლად საჭიროა მთავარ საწყობს მოემატოს ტერიტორია, რადგან ეს მოსამატებელი ადგილიც რამდენიც უნდა მას აქვს, სადაც შეიძლება ყველაფრის აშენება, მოწყობა, და სახელმწიფო ქონებასაც შესანახი და მოსავლელი ადგილი ექნება.

მუშკორი გვაზაურელი.

ცოტა გასამრჯელო ეძლევა

გაზეთ „კომუნისტი“-ს ერთ-ერთი ნომერში უკვე მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ენერგიული მომუშავე უნდა დავაფასოთ“. წერილის ავტორი ეხებოდა საქონლის სადგურის მტვირთავ მუშათა ადგილკომის ტეხ. მდივანს ამხ. მიხეილ სიხარულიძის მუშაობას. წერილის ავტორი აღნიშნავდა მის ენერგიულ მუშაობას და ზედმეტ მუშაობის ჯილდოს მიუცემლობას და მოითხოვდა მისი სამართლიან დაჯილდოებას. მაგრამ მუშკორის წერილმა მიზანს ვერ მიაღწია და დღესაც უყურადღებოდ არის მიტოვებული პატიოსანი მუშაკის საქმე.

უკვე ორი წელია, რაც ხსენებულ ადგილკომში მუშაობს ამხ. სიხარულიძე. ის არჩეულია ურთიერთ-დამხმარე [illegible] კულტ-მუშაობას [illegible] მუშა-მოსამსახურეებს.

1925 წელში ადგილკომის და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილების თანახმად, უნდა დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ ეს დადგენილება მარტო ქაღალდზე დარჩა.

ამხ. სიხარულიძეს ყოველგვარი ანარიცხების აკრეფაც უხდებოდა, რაც მის ფუნქციაში არ შედიოდა. მაგრამ იგი მასაც პირნათლად ასრულებს ორი წლის განმავლობაში და ყველა მუშებში განსაკუთრებული ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული.

საჭიროა ერთგულ მუშაკს მისცენ სათანადო ჯილდო.

ადგილობრივი მუშა.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **სახლის გამგეობა ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე.** კლარა ცეტკინის ქ. სახლი № 60 (ყოფ. ელისაბედის ქ.) არის მუშათა სახლი, სადაც სცხოვრობს 82 მუშა-მდგმური. რამოდენიმე ხნის წინედ მდგმურებმა აირჩიეს გამგეობა. გამგეობამ მოახდინა სახლის ზოგი ნაწილების შეკეთება და საქმე ამით გათავდა. წყლის საკითხს გამგეობა გულგრილად ეპყრობა. დროზე წყლის ფულს არ აგროვებს ამას კი მოჰყვა წყლის დაკეტვა და ვიტანჯებით უწყლოთ.

ვინ ასწავლის ჭკუას სახლის გამგეობას?!

მუშკორი ბალიპოლი.

— **სამკითხველოს გამგეც ასეთი უნდა.** ქ. თბილისის პირველი საფეხურის ს. პ. სკოლაში ვირიცხებით მუშა-კურსანტები და მუშა-ქალები და მოსამსახურეები უმეტესად ქართველები—185 კაცი. ამათში არც ერთს არ გვაქვს გამოწერილი ქართული ჟურნალ-გაზეთები. არა აქვს გაზეთები გამოწერილი ჩვენს სამკითხველოს. მისი გამგე მოქ. ლოგინოვი ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ასწავლეთ ჭკუა ზარმაც „მუშაკს“.

მუშა დედონაშვილი.

— **ზოგისთვის ბამბა ჩხრიალებს, ზოგისთვის კაკალიც არაო.** ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების სადეზინფექციო კამერაში მსახურობს ამხ. ბოროვცოვი ამავე დროს იგი ითვლება ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნად და იღებს ამ თანამდებობის შესრულებისათვის დაწესებულ ჯილდოს. უმუშევრები ბევრი გვყავს სადეზინფექციო კამერაში. ბოროვცოვი მაინც ცოტას აკეთებს. განა არ შეიძლებოდა, რომ სადეზინფექციო კამერაში რომელიმე გაჭირვებულ უმუშევარს მოეწყო?

მუშკორი ნ. ჭუღნია.

საბინაო ალმშენებლობა

საბინაო სამშენებლო კოოპერაციის თანხები

1926 წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობის საწარმოებლად საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის განკარგულებაში არის 525 ათასი მან.

ამ თანხიდან საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ საბინაო ამხანგობებზე სესხად გაცემულია—175 ათასი მანეთი, ადგილობრივი საბინაო ფონდი უდრის—300 ათას მანეთს, ხოლო რესპუბლიკანური ფონდი—50 ათასს მან.

სამშენებლო-მასალის კოოპერატივი

ამ მოკლე ხანში თბილისში გაიხსნება სამშენებლო მასალის კოოპერატივი, სადაც გაიყიდება საბინაო მშენებლობისა და მუშათა სახლების შესაკეთებლად საჭირო ყოველგვარი მასალა. კოოპერატივი მოეწყობა საბინაო ამხანაგობათა ინიციატივით.

100 ბინის აგება

მიმდინარე სამშენებლო სეზონში საბინაო ამხანაგობათაგან აგებულ იქნება რამოდენიმე შენობა, სადაც მოთავსებული იქნება 100-ზე მეტი ბინა. ამ შენობების ასაგები სამშენებლო მასალის შესაძენად და დასამზადებლად საბჭოთა რუსეთში გაგზავნილია საქართველოს საბინაო კოოპერაციის 2 წარმომადგენელი.

ა-კ. საბინაო კოოპერაციის თანხები

ამ ჟამად ამიერ-კავკასიის საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათ სამშენებლო საჭიროებისათვის თავის განკარგულებაში აქვთ 1.045.000 მან.

საჭირო მასშტაბით სამშენებლო მუშაობის გაფართოებისათვის ამ თანხის გარდა კიდევ საჭიროა 1.5 მილიონი მანეთი. თუ ამიერ-კავკასიის კოოპერატ. ამხანაგობებში ამ თანხის გამოძებნა მიახერხეს, შესაძლებელი გახდება თბილისისათვის 260 ბინის აგება, ბაქოსათვის—250.

საფოსტო კავშირი

საფოსტო მიმოსვლის გაუმჯობესება.

ამიერ-კავკასიის საოლქო კავშირს განზრახული აქვს საფოსტო საქმეში გაატაროს ახალი ცვლილებები, რომელნიც საგრძნობლად გააუმჯობესებს საფოსტო მისვლა-მოსვლას. მაგ. განზრახულია, შემოღებულ იქნეს ამიერ-კავკასიის მოზრდილ ქალაქებში და მათ შორის თბილისში საფოსტო ყუთების განტვირთვა და საჩქარო კორესპონდენციების გადატან-გადმოტანა მოტოციკლეტით და ველოსიპედებით.

საბჭოთა რუსეთში თოვლიან ველებზე სწრაფი მიმოსვლისათვის გამოყენებული იქნება საფოსტო დილიჟანები და ეგრედწოდებული მარხილი-გლისერები (პროპელლერით).

ზღვებზე და დიდ მდინარეებზე ფოსტის გადასაზიდათ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აწყობს კატერების, მატორიანი ნავების და გლისერებისგან შემდგარ საკუთარ ფლოტილიას.

ამასთან ერთად გახშირებულ იქნება საფოსტო ვაგონების მიმოსვლა და ფოსტის მიტანა იწარმოებს რკინისგზის იმ შტოებზედაც, სადაც ფოსტის მიტანა დღემდე არ სწარმოებს.

მიმდინარე წელს განზრახულია საფოსტო ვაგონების გახშირებული მიმოსვლა რკინისგზის 79 ხაზზე, რომლის საერთო სიგრძე 27.863 კილომეტრს უდრის. ეს გაადიდებს საფოსტო მიმოსვლას 386.389 ვაგონ-კილომეტრით თვეში.

განზრახულია აგრეთვე იმ ოპერაციათა გაფართოება, რომელიც დაკისრებული აქვთ ქალაქის წერილების დამტარებლებს—განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში. მათ დაეკისრებათ არა მარტო მიტანა-ჩაბარება, არამედ კორესპონდენციების და საფოსტო ამანათების მიღება.

საქართ. რევოლუციის მუზეუმი

ჩვენი ქვეყანა ათეული წლების განმავლობაში უდიდესი რევოლუციონური მოძრაობის ასპარეზი იყო. ათეული წლების განმავლობაში ჩვენში სწარმოებდა თვითმპყრობელობისა და სხვა მჩაგვრელთა წინაამდეგ გმირული ბრძოლა, რომელიც გამარჯვებით დამთავრდა.

ამ ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდა მთელი მშრომელი ხალხი, უაღრესად მწყობრი, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და იშვიათი პოლიტიკური შეგნებით. ჩვენი რევოლუცია (განსაკუთრებით 1905 წ.) წარმოადგენს ბრწყინვალე ფურცელს რუსეთის რევოლუციის ისტორიაში.

სამწუხაროთ, ეს საამაყო რევოლუციონური წარსული სრულებით შესწავლილი და გაშუქებული არ არის.

ამ საქმისთვის საჭირო საორგანიზაციო მუშაობა—რევოლუციონური მოძრაობის მასალების შეგროვება და სისტემატიზაცია—დაკისრებული აქვს საქართველოს რევოლუციის მუზეუმს, რომელმაც უკვე შეაგროვა დიდძალი მასალა, ჩვენი მოძრაობის დამახასიათებელი, და ახდენს მის სისტემატიზაციას.

მუზეუმმა თავი მოუყარა ჟანდარმთა სამმართველოში, სასამართლო პალატაში და სხვაგან დარჩენილ საარქივო მასალებს.

შეაგროვა დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, პოლიტ.-მოღვაწეთა სურათები და სხვა.

დღეს მუზეუმს მოეპოვება ცხრა-მეათედი იმ ჟურნალ-გაზეთების და პოლიტ-შინაარსის წიგნებისა და ბროშიურების, რომლებიც ჩვენში თუ საზღვარ-გარედ ლეგალურად და არალეგალურად გამოცემულა.

ამ მოკლე ხანში მუზეუმმა გახსნა გამოფენა, რომელიც შემდეგი განყოფილებებისაგან შესდგება:

1. მარქსიზმის წინა ხანა, 2. 90-ნი წლები, 3. 1905 წლის რევოლუცია, 4. რეაქციის ხანა, 5. თებერვლის რევოლუცია, 6. მენშევიკური ხანა, 7. საბჭოთა ხანა—ოქტომბრის რევოლუცია.

პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია რევოლუციონური მოძრაობა რუსეთსა და ჩვენში, ბატონყმობის დროიდან 90-ან წლებამდე.

აქ არის ბატონყმობის დამახასიათებელი საინტერესო ექსპონატები, ამ ხანაში მოქმედ ცალკე პირთა და ჯგუფებს სურათები, მათი ისტორია, გლეხთა აჯანყებანი რუსეთსა და ჩვენში, ნაროდნიკული ორგანიზაციები „ზემლია ი ვოლია“. „ნაროდნაია ვოლია“. პირველი ნაროდნიკები ჩვენში, ევროპის და რუსეთის ძველი რევოლუციონერები, მათი მოღვაწეობის და მოღვაწეების მოკლე დახასიათებით და სხვა.

90-ნი წლები. აქ არის: შრომის განთავისუფლების ჯგუფი, პირველი მარქსისტული მუშათა ორგანიზაციები, პირველი ყრილობა რუს. სოც.-დემ. მ. პარტიის, „მესამე დასის“ გამოსვლა ჩვენში, გაზეთი „კვალი“, და სხვა.

1905 წ. წარმოდგენილია მდიდრათ, აღნიშნულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მომენტები და რევ. ორგანიზაციები, როგორც ჩვენი, ისე რუსეთის მოძრაობიდან. მნახველის თვალწინ აქ იშლება მთელი სურათი იმ სახელოვანი ბრძოლის, რომელიც ჩვენში 1905 წელს სწარმოებდა.

რეაქციის ხანა. აქ არის: რეაქციის გამაგებული შეტევები, დამსჯელი რაზმები, სახალხო წარმომადგენლობის გამასხარავება, ტერორისტული აქტები, თავგანწირული არალეგალური ბრძოლები და სხვა.

1917 წლის რევოლუცია. იმპერიალისტურ ომში სასტიკად დამარცხდა მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი—რუსეთი. იფეთქა რევოლუციამ, დაემხო თვითმპყრობელობა. მუზეუმში ეს მომენტი სავსებით წარმოდგენილია. აქ არის: ქუჩებში პოლიციასთან შეტაკება, მეფის მიერ ტახტზე ხელის აღება, პირველი დეპეშები გადატრიალების შემდეგ, პირველი გაზეთები და მოწოდებანი, რუსეთის კოალიციონური მთავრობა, პირველი მიტინგები თბილისში და ჩვენს პროვინციაში და სხვა.

მენშევიკების ბატონობის ხანა წარმოდგენილია უმთავრეს მომენტებში.

საბჭოთა ხანა. აქ არის: სხვადასხვა სურათები, საქართველოს საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტები და ბრძანებანი, საბჭოთა პირველი გაზეთები და გამოცემანი და სხვა მასალები.

ერთი სიტყვით, გამოფენა წარმოადგენს რევოლუციის განვითარების მთლიან სურათს ყველა მისი საფეხურებით და ეპოქებით. ერთი თვის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 5.000 კაცმა. იგი ინახულეს აგრეთვე ჩვენმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა, რომელთაც თავიანთი შთაბეჭდილებანი უკვე გამოხატეს მუზეუმის საპატიო სტუმართა წიგნში.

მოგვყავს ამ წიგნიდან ორი წერილი:

I.

„საქართველოს სარევოლუციო მუზეუმის პირველი გამოფენა“

„აქაა გამოფენილი წარსული ცხოვრების ერთი პატარა კუნჭული, მაგრამ სამაგიეროდ მეტად საინტერესო კუნჭული. აქაა გამოფენილი რევოლუციონური ორგანიზაციების არალეგალური მუშაობის სურათი იმდენად, რამდენადაც მისი აღდგენა შესაძლებელი გახდა, ეს ერთი მხრით; მეორე მხრით აქ წარმოდგენილია აგრეთვე ჩვენი მაშინდელი მთავარი მტრის—მეფის თვითმპყრობელობის „საქმიანობაც“. ყოველივე ეს დღეს თითქმის დავიწყებულია კიდეც, ისე საგრძნობლად მოვშორდით ჩვენ შედარებით მეტად ახლო წარსულს, ყველა ის, ვისაც ამ წარსულის საშინელებანი თავის თავზე უგრძნია და განუცდია, გამოფენის დათვალიერების შემდეგ სიამოვნებით ამოისუნთქავს, დარწმუნებული იმაში, რომ ყოველივე ეს უკვე წარსულს ეკუთვნის. ვისაც-კი ეს ცეცხლი და ჯოჯოხეთი წარსულისა თავის თავზე არ განუცდია, მას საშუალება ეძლევა გაეცნოს ამას გამოფენაზე. ეს ერთი მხარე.

ამ გამოფენის მეორე მხარე კიდევ უფრო საინტერესოა. აქ თქვენ საშუალება გეძლევათ რამდენიმე წამის განმავლობაში მთელი ჩვენი რევოლუციის განვითარება თვალწინ წარმოიდგინოთ. სულ რაღაც 30 40 წლის მანძილზე თქვენ ხედავთ რევოლუციის იდეის სუსტ ჩანასახს, შემდეგ ამ იდეის გამომხატველ სუსტ ორგანიზაციებს, ხედავთ მუშათა კლასს ერთ და იმავე დროს როგორც განუსაზღვრელ ტანჯვას, ისე თავგანწირულ ბრძოლას,—და ბოლოს მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვებას, აი, ესაა რევოლუციის გზა—გზა ტანჯვისა და ბრძოლისა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს გამოფენა არაა სრული და უნაკლულო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში ეს პირველი ცდაა, და მეტის მოთხოვნა შეუძლებელია. უნდა ითქვას, რომ გამოფენის მოთავეთ გამოუჩენიათ არა მარტო დიდი შრომა და დიდი მუყაითობა, არამედ, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია,—სიყვარული საქმისადმი“.

ფ. მახარაძე.

25/12—25 წ.

II.

„სარევოლუციო მუზეუმი ყველა სხვა სახის მუზეუმისაგან იმით გაირჩევა, რომ ის არის აქტიური ბრძოლის ორგანო, ორგანო, რომელიც ფორმას აძლევს რევოლუციონერის შეგნებას, წრთვნის და აერთობს რევოლუციონერთა ახალთაობას. ამ მხრით რევოლუციის მუზეუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობა დროთა განმავლობაში თანდათან უფრო გაიზრდება.

დღევანდელი სახით მუზეუმი ახდენს კარგი დასაწყისის შთაბეჭდილებას. ყველაფრიდან სჩანს, რომ მის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა გატაცებით უმუშავნიათ. საჭიროა, რომ ეს გატაცება არ შენელდეს, რადგანაც მთავარი სამუშაო ჯერ კიდევ წინაა. ვუსურვებ ამ მუშაობაში მათ წარმატებას, დამსახურებულ თანაგრძნობას (და დახმარებას) მრავალრიცხოვან მნახველებისას, იდეოლოგიურ სიმპატიას და მყიდრ ნივთიერ საფუძველს.

მამია ორახელაშვილი.

15 იანვარი, 1926 წ.

ჩვენ სავსებით ვგრძნობთ, რომ ის, რაც მუზეუმმა დღემდის გააკეთა, არის მხოლოდ ნაწილი იმ დიდი საქმის, რომელიც უნდა გაკეთდეს და უეჭველად გაკეთდება, თუ კი ამ ფრიად დიდსა და სერიოზულ კულტურულ საქმეს შესაფერისი ყურადღებით მოეპყრობიან ჩვენი მუშები და გლეხები, რომლებმაც თავიანთ მძლავრ მხრებზე გადაიტანეს ათეული წლების უმაგალითო ბრძოლის სიმწარე-გაჭირვებანი.

სარევოლუციო მუზეუმს სჭირდება:

1. პოლიტიკური შინაარსის წიგნები და ბროშიურები; 2. პროკლამაციები; 3. პოლიტიკურ მოღვაწეთა სურათები; 4. რევოლუციონური შინაარსის საარქივო მასალები; 5. რევოლუციის ხანის ფულის ნიშნები და მარკები; 6. პლაკატები და კედლის გაზეთები; 7. რევოლუციის მონაწილეთა მოგონებანი; 8. რევოლუციის მონაწილეთა ბიოგრაფიები; 9. რევოლუციონური შინაარსის ხელნაწერები; 10. პოლიტ-მოღვაწეთა ხელნაწერები; 11. ძველი რევოლუციონური დროშები; 12. რევოლუციონური მნიშვნელობის იარაღები და ნივთები; 13. არალეგალური სტამბის ნაწილები; 14. ყოველივე მასალა, რომელსაც აქვს რევოლუციონური მოძრაობისათვის რაიმე მნიშვნელობა.

მუზეუმი უკვე შეუდგა შემდეგ ისტორიულ პლაკატების შედგენას: 1. ს. დ. ყრილობები და კონფერენციები; 2. საპირველმაისო დემონსტრაციები; 3. რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირი; 4. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“; 5. „ბრძოლა“; 6. „სოციალ-დემოკრატი“ (არალეგ.); 7. წითელი რაზმები 1905 წ.; 8. გაზ. „სხივი“; 9. თბილისის პირველი სოციალ-დემ. კომიტეტი; 10. შავი რაზმები 1905 წ.; 11. ბრძოლა ნახალოვკაზე; 12. დამსჯელი რაზმები პირველ რევოლუციის ხანაში; 13. გლეხთა მოძრაობა 1905 წ.; 14. კრომ გირეი გურიაში; 15. საერობო კამპანია 1905 წ.; 16. 1905 წლის მსხვერპლნი; 17. ეროვნული ყრილობა საქართველოში; 18. ანტანტა საქართველოში; 19. ამიერ-კავკასიის კომისარიატი; 20. სეიმი; 21. საოლქ. ცენტრი; 22. გურიის რესპუბლიკა 1905 წ.; 23. ყვირილის რესპუბლიკა 1905 წ.; 24. სენაკის რესპუბლიკა; 25. ზუგდიდის რესპუბლიკა; 26. სოჭის რესპუბლიკა; 27. სვანეთის რესპუბლიკა და სხვა.

საქართველოს სარევოლუციო მუზეუმი მოუწოდებს ყველას, ვისაც ჩვენს რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა მიუღია და რევოლუციონურ-ისტორიულ ხასიათის რაიმე მასალა აქვს, დაეხმარონ რევოლუციის მუზეუმს [illegible] მუშაობაში, რომლის სათანადო მოგვარება იქნება ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი კულტურული მიღწევა.

საქართველოს სარევოლუციო მუზეუმის დირექტორი—ბარონ ბიბინეიშვილი.

საბჭოთა არჩევნები

მოლოდინი გამართლდა

(ხაშური)

თემ-საბჭოს და ალმასკომის არჩევნები უკვე დამთავრდა. შედეგი ყველგან სასურველია: ანტისაბჭოთა ელემენტების ფარული თუ აშკარა ზრახვები დაიმსხვრა, და საბჭოთა წყობილების ერთგულმა დარაჯებმა გაიმარჯვეს.

არჩევნები ყველგან ფართო-დემოკრატიული იყო. არავითარ ძალით თავზე მოხვევას ადგილი არ ჰქონია. ამომრჩევლებს სრული უფლება ჰქონდათ ვინც უნდოდათ დაესახელებიათ და რამდენიც უნდოდათ ემსჯელათ წაყენებულ კანდიდატურის ავ-კარგიანობაზე. და მართლაც შეფასება ნამდვილი საქმიანი იყო. თუ რომელიმე კანდიდატურას აშავებდენ, — საამისო საბუთებიც მოჰყავდათ.

რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატურის უარყოფას პირადი ანგარიშის სარჩულიც ედო და ეს არც გასაოცარია.

დასამალი არაა, რომ ზოგიერთ „გამწყრალ“ ვაჟ-ბატონებს დიდათ არ ეპიტნავებათ საბჭოთა ალმშენებლობა და რასაკვირველია, მათ არც ერთგული მუშაკი ეყვარებათ. მაგრამ ტყუილს და ვაიძვერობას მოკლე ფეხები აქვს. მშრომელი ხალხი კარგად არჩევს შავსა და თეთრს. თუ მას ჯერ კიდევ პირდაპირი გამბედაობა არ შესწევს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ცუდი და კარგი არ იცის.

ძველი საბჭოს წევრები ბევრგან აღარ აირჩიეს და სრულიად საბუთიან ბრალდებას უყენებდენ მათ: ზოგს ცუდ ყოფა ქცევას და დიდი ლუკმის მითლას აბრალიდენ, და ზოგს უვარგისობას: „მთელი წელიწადი საბჭოს სხდომებზე დადის და არ გვეუბნება რას აკეთებენ ან რას ადგენენო“, და სხ.

მართალია ჯერ-ჯერობით არაფერი ითქმის ახალ და ძველ საბჭოს უპირატესობაზე, მაგრამ ერთი რამ უდაო ფაქტია: ახალი არჩევნები დიდი მანძილით გასცდა წინანდელ ვიწრო ფარგლებს. დღეს აღარავის შეუძლია სთქვას, რომ საბჭოთა არჩევნები არ გამოგვიაო. განსაკუთრებით სახელობითი უწყებების შემოღებამ პასუხის-მგებლობა აგრძნობინა მოსახლეობას.

სასიხარულო ის არის, რომ საბჭოების ავტორიტეტი დიდათ გაიზარდა. არ ყოფილა ისეთი საარჩევნო უბანი, სადაც ამომრჩევლების 35-40-50 პროცენტზე ნაკლები დასწრებოდა კრებას. კიდევ უფრო სასიხარულოა კარ-ჩაკეტილ გლეხ-ქალების ამოძრავება, და არჩევნებში მხურვალე მონაწილეობის მიღება,—რომელთა რიცხვი ზოგჯერ სჭარბობდა კაცებისას; მონაწილეობის გარდა ქალები დაჟინებით მოითხოვდენ, რომ აუცილებლად მათი წარმომადგენელი გასულიყო საბჭოებში.

არჩევნების საერთო სურათი ასეთია: ხაშურის, ქვიშხეთის, ღუდის, ხცისის და წრომის თემებში არჩეულია—222 დეპუტატი, მათ შორის: მუშა-მოსამსახურენი — 61, ღარიბი გლეხი—147, საშუალო შეძლების გლეხი 75, კომუნისტი 68, კომკავ. 18, ყოფ. მენშევიკი მუშა 4, უპარტიო 136, ქალი 26, ქართველი 184, ოსი 35, რუსი 2, სომეხი 1.

ნადალა.

ჩვენი თემის საჭირბოროტო საკითხები

(თერჯოლა, შორ. მ.)

ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

თერჯოლის თემში არის 7 სკოლა, 6 ოთხწლედი და ერთი 7 წლედი. სკოლებს ესაჭიროებათ შეკეთება. თემში არსებობს სამი სამკითხველო. სამკითხველოები ღარიბები არიან წიგნებით. მათში ნაკლებად ნახავთ ახალ ლიტერატურას. საჭიროა წიგნებით სამკითხველოების გაღონიერება.

აფთიაქში გვყავს ერთი მომუშავე, წამლების დამამზადებელი, რომელიც ვერ აუდის მუშაობას, ვინაიდან გლეხობის უმრავლესობამ პირი იბრუნა სოფ. მეწამლეებისგან და დარწმუნდა, რომ ავადმყოფს აგურის ნალესი ვერას უშველის და ექიმის გამოწერილ წამალს დღეს ძალზე ეტანება. არის შემთხვევები, რომ წამალი მეორე დღეს მიაქვთ გლეხებს, ვინაიდგან იმავე დღეს ვერ ასწრებენ წამლის დამზადებას. გლეხობა მოითხოვს აფთიაქში მეორე მომუშავის დანიშვნას.

გლეხკომი შეძლებისდაგვარად უწევს დახმარებას გლეხობას, როგორც წამლებით და სურსათით, ისე რჩევა დარიგებით. საჭიროა თემგლეხკომში მომუშავეთ დაენიშნოთ ჯილდო, რომ მათაც შესძლონ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ადგილობრივად გამოდის სამკითხველოს საბჭოს სახელით კედლის გაზეთი „წითელი თერჯოლა“, რომელსაც ესაჭიროება გაუმჯობესება და სარედაქციო კოლეგიაში გამოცდილი მომუშავეების არჩევა.

ჩხარის ეპოს განყოფილება ვერ სდგას თავის სიმაღლეზე და პირველ მოთხოვნილებების საგნებს ხშირად ვერ აწვდის გლეხობას. ამ დროს კერძო ვაჭარი თერჯოლაში თანდათან იმაგრებს წელს და ავსებს სავაჭრო დუქანს. საჭიროა კოოპერატივის გაძლიერება და კერძო ვაჭრებთან სასტიკი ბრძოლის წარმოება.

ამას გარდა საჭიროა გზების, ხიდების და ბოგირების შეკეთება. სახალხო სახლის აგება დიდ აუცილებლობას წარმოადგენს თემისათვის. დღეს ბინის უქონლობა, სადაც შესაძლებელი იქნება წარმოდგენების მართვა, დიდათ ხელს გვიშლის.

ყველაფერი გაკეთდება, თუ საბჭო სალათას ძილს არ მისცემს თავს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი საბჭო, სადაც ბლომათ არიან მოწინავე ღარიბი გლეხები, მასწავლებლები, ექიმი, აგრონომი და მშრომელი ქალები, შესძლებენ ყველა დაბრკოლებების გადალახვას და წლის ბოლოს პირნათლად წარსდგებიან ამომრჩევლების წინაშე.

ვალ—ია.

სად როგორ ჩატარდა არჩევნები

რაჭის მაზრა

ქ. ონის საბჭოში არჩეული იქნა 30 წევრი, მათ შორის 20 კომუნისტია, 1 კომკავ., 9 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

ზუგდიდის მაზრა

ჩხოროწყუს თემსაბჭოში აირჩიეს 36 წევრი, აქედან 9 კომ., 3 კომკ., 24 უპარტიო, არჩეულთა შორის 5 ქალია.

კორცხელის სათემო საბჭოში აირჩიეს 29 წევრი, აქედან 4 კომ., 25 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

წალენჯიხის თემსაბჭოში გაყვანილი იქნა 59 წევრი მათ შორის 25 კომ., 2 კომკ., 32 უპარტიო, აქედან 3 ქალია.

ნიკოსის თემსაბჭოში არჩეული იქნა 22 წევრი, მათ შორის 8 კომ., 1 კომკ., 13 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

ლეჩხუმის მაზრა

ჩოლურის თემსაბჭოში აირჩიეს 19 წევრი მათ შორის 6 კომ., 3 კომკავ. 10 უპარტიო, აქედან 3 ქალი.

ოლაშხტის თემსაბჭოში გაიყვანეს 50 წევრი, მათ შორის 10 კომ., 2 კომკ., 38 უპარტიო, აქედან 2 ქალი.

ოზურგეთის მაზრა

ერკეთის თემსაბჭოში არჩეული იქნა 30 წევრი, მათ შორის 14 კომ., 16 უპარტიო. არჩეულთა შორის 4 ქალია.

ჩიბათის თემსაბჭოში გაყვანილი იქნა 55 წევრი მათ შორის 16 კომ., 2 კომკ., 37 უპარტიო, აქედან 15 ქალია.

ნიგვზიანის თემსაბჭოში გაიყვანეს 28 წევრი, მათ შორის 9 კომ., 4 კომკ., 15 უპარტიო, აქედან 3 ქალია.

სამხთოს თემსაბჭოში აირჩიეს 24 წევრი, მათ შორის 12 კომ., 1 კომკ., 11 უპარტიო, აქედან 3 ქალი.

ყველა აღნიშნულ თემების საბჭოების არჩევნებში საშუალოდ მონაწილეობდა ამომრჩეველთა 57 პროც.

საბჭოთა ალმშენებლობა

წყალსადენის გაყვანა სოფელ ახალშენში.

თებერვლის დამლევს დამთავრდა წყალსადენის გაყვანა და მოწყობა სოფელ ახალშენში (აჭარისტანი, ქობულეთის მაზრა). წყალსადენი გაყვანილია 12 ვერსის მანძილზე. 4 ალაგას დადგმულია საწყალსადენო ბუდკები.

აბანო ქ. გორში.

1926 წლამდე ქალაქ გორს ერთი აბანოც კი არ მოეპოვებოდა, რაც მეტად აწუხებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

1925 წლის ქ. გორის ალმასკომის კომუნალური განყოფილება შეუდგა აბანოს აგებას. მიმდინარე წლის იანვარში აბანოს აგება და მოწყობა დამთავრდა და ამავე თვეში იგი შეუდგა მუშაობას.

მიწისძვრისაგან გორის დანგრევის შემდეგ ამ აბანოს ეს მეორე შენობაა, რომელიც ააგო ქალაქის ალმასკომმა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ კომუნალურ განყოფილებას აბანო ჩინებულად აქვს მოწყობილი.

მომავლისათვის განზრახულია გორის ახლად აგებულ აბანოში გამოყვანილი იქნეს გოგირდის წყალი გორიჯვარის წყაროებიდან. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ გორის ახალი აბანო სამკურნალო დაწესებულებად გადაიქცევა და გარდა ჩვეულებრივ ჯანმრთელ ავადმყოფებისა, მიიზიდავს მაზრის დაშორებულ კუთხეების მცხოვრებლებსაც.

აბანო წნორის წყალზე

(კახეთში)

ამ რამოდენიმე ხნის წინად დამთავრდა აბანოს აგება და მოწყობა წნორის წყალის (კახეთი) ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებისათვის, რომელნიც უკანასკნელ დრომდე მოკლებული იყვნენ დაბანვა-გასუფთავების საშუალებას. სამწუხაროდ აბანოში ვერ არის დაცული სანიტარული პირობები.

წყლის ასადუღებელი ქვაბი არ ირეცხება, რის გამოც ქვაბში ნალექი გროვდება. არ კმარა აგრეთვე ცივი წყალი და ხშირად მუშები იმდუღრებიან.

სახელმწიფო დაზღვევა

ელექტრო-მუშაკთა დაზღვევა

ტრავმატიული (უბედური) შემთხვევებს ყველაზე მეტად ადგილი აქვს ელექტრო წარმოებებში. ამიტომ სახელმწიფო (არასოციალური) და დამზღვევი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ელექტრო-მუშაკთა დაზღვევის საქმეს, რომელიც მოითხოვს მეტს ხარჯებს, ვიდრე სხვა რომელიმე დარგის მუშაკთა დაზღვევა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს დადგენილებით ელექტრომანტიორების, ელექტრო-იარაღების ამწყობ მუშების, მომქმედ ელექტრო-მანქანებზე მომუშავე მუშების და აგრეთვე მავთულების გამბმელ და შემკეთებელ მუშების. სიცოცხლის დაზღვევის დროს პრემიის რაოდენობა გადიდებულია ყოველ 1.000 მანეთზე 5 მანეთით, თუ დასაზღვევი თანხა 500 მანეთს აღემატება.

უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში შემოღებულია დამზღვევ ორგანოების პასუხისმგებლობა ვეტერინარული პერსონალის (ვეტერინალურ ექიმების, ფერშლების, სანიტარების და დარაჯების), სიკვდილიანობისა, დასახიჩრება-ინვალიდობისა და შრომის უნარიანობის დროებით დაკარგვისათვის იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული პროფესიის პირნი დაზღვეულ არიან უბედური შემთხვევებისაგან. სახელმწიფო დაზღვევის ეს ახალი წესი ვრცელდება შემდეგ ავადმყოფობის სნეულებაზე: ციმბირის წყლული, წყლის ავადმყოფობა, თურქული, კანის სნეულება, ჭირი და სეპტიურ სნეულებებზე.

ნათესების დაზღვევა

სომხეთის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ აღძრა საკითხი ნათესების სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ, განზრახულია აგრეთვე შემოღებულ იქნეს ცხენის, ღორების და წვრილფეხი საქონლის დაზღვევა.

სახალხო კომისართა საბჭოში

სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის შუამდგომლობა

სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის შუამდგომლობა სამოქალაქო ომის ინვალიდების და ომში დაღუპულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა დაზღვევის საქმის სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების გამგებლობაში გადაცემის ვადის ა. წ. მაისის 1-მდე გაგრძელების შესახებ.

ფართო ლიანდაგის გაყვანა ბორჯომ-პარკამდე

სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ და მიზანშეწონილად სცნო სად. ბორჯომიდან ბორჯომ-პარკამდე არსებულ ვიწრო ლიანდაგის ფართო ლიანდაგად გადაკეთება, სადგურ ბორჯომსა და ქ. ბორჯომ შუა ვიწრო ლიანდაგის მიმართულებით არსებულ გზა-ტკეცილზე მოძრაობა შეწყვეტილი იქნება ლიანდაგის გადაკეთების გამო.

საკითხი რემერტოვის ყოფ. პარკის ნაწილის რკინიგზის ლიანდაგის საჭიროებისათვის გადაცემის შესახებ ა. კ. რკინიგზის სამმართველომ უნდა შეუთანხმოს ბორჯომის აღმასრულებელ კომიტეტს.

საპრემიო ფონდის გამოყენება

ეკონომიურ საბჭოს 1926 წ. 10 თებერვლის სხდომაზე მიღებულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საპრემიო ფონდის გამოყენების დებულება განმტკიცებულია სახკომსაბჭოს მიერ დებულება გამოქვეყნდება მოკლე ხანში.

ქრონიკა

გემი შაქრით

ფოთში მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „იალბუზი", რომელმაც მოიტანა 52 ვაგონი ნატეხი შაქარი სპარსეთისა და ამიერ-კავკასიისათვის.

კოოპერატიული ლიტერატურის გავრცელება

ცაკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ, კოოპერატივებთან არსებულ სამკითხველოებს დაუგზავნა შ. გოგებაშვილის წიგნები: „კოოპერატივის გამგეობა" და „კოოპერატივის სარევიზიო კომისია".

„აფხაზელი მწყემსი"

აფხაზეთში დაარსდა კოოპერატიული ამხანაგობა „აფხაზელი მწყემსი", რომელიც მიზნად ისახავს მესაქონლეობის განვითარებას აფხაზეთში.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადება

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში ვენში დამზადდა 381.623 ვედრა ღვინო, 1.134.488 გრად. არაყი, 42.989 ფ. თხილი და კაკალი, 2.495 ფ. შვეიც. ყველი, 678.240 ცალი კვერცხი, 27.679 ფ. თამბაქო და 85.541 ფ. ხილი.

რამდენი გემი მოვიდა ფოთში

თებერვლის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში მოვიდა და წავიდა 58 გემი. ნავთსადგურში გადმოტვირთულ იქნა 9.153 ტონა საქონელი და დატვირთულ იქნა 1.145 ტონა. შემოტანილ იქნა 5 ტონა საძირე ტყავი და გატანილ იქნა 146 ტონა თხილი და 36.214 ტონა მარგანეცი.

ქაღალდის შემოტანა

მიმდინარე წელს ქაღალდის ტრესტის თბილისის განყოფილება საქართველოსა და სომხეთისათვის მიიღებს 635.000 ფ. ქაღალდს.

მეაბრეშუმეთა ყრილობა

2 აპრილისათვის, თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის და შუა აზიის მეაბრეშუმეთა ყრილობა.

აბრეშუმის თესლის განაწილება

წელს საზ-ბა „აბრეშუმ"-მა, მეაბრეშუმე გლეხებს, შეღავათიან ფასებში დაურიგა 90.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

12 მარტი უქმე დღეა

შრომის კომისარიატის დადგენილებით, 12 მარტი, რუსეთში თვითმყრობელობის დამხობის დღე, გამოცხადებულია უქმე დღეთ.

მიწად-მოქმედების კომისარიატში

◆ იარაღ-მანქანების აღრიცხვა. კომისარიატი ახლო ხანში შეუდგება მთელ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო იარაღების აღრიცხვას და მათ გადაჯგუფებას ერთი მაზრიდან მეორეში ადგილობრივი საჭიროების მიხედვით.

◆ ბოტანიკურ ბაღში შესასვლელად კომისარიატმა დააწესა შემდეგი ნიხრი: კერძო პირთათვის 25 კ., პროფკავშირის წევრთათვის 10 კ., მოსწავლეთა და წითელ-არმიელთა ექსკურსიებისათვის უფასოდ.

◆ ეკონომიური რუკა. კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს საქართველოს ეკონომიური რუკა.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

◆ სანატორიუმებში. ზაფხულის განმავლობაში დაზღვეულ ავადმყოფების გასაგზავნად სოც. დაზღვევის სამმართველომ არაზინდოს სანატორიუმში აიღო 150 ადგილი.

◆ დამზღვევი პუნქტები. სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა ს. ტყვიავში და წითელ ქალაქში (გორის მაზრა) გახსნას დამზღვევი პუნქტები.

განათლების კომისარიატში

◆ ნორჩ პიონერთა ბიუროს გამოცემისათვის, განათლების კომისარიატმა დახმარების სახით ყოველთვიურად დაუნიშნა 75 მან.

◆ განათლების მთავარ სამმართველოებს დაევალათ შეიმუშაონ სკოლების დამხმარე მშობელთა წრეების წესდება.

◆ განათ. კომისარიატის სატარიფო განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. ალ. ნაცვლიშვილი.

სხვადასხვა

◆ ნაოსნობა რიონზე. ამ დღეებში დაიწყება მდინარე რიონის სიღრმის გამოკვლევა ფოთიდან სადგურ რიონამდე რიონზე

შემთხვევები

— ტრამვაის მსხვერპლი. გუშინ ნაშუადღევის 5 საათზე, დამზღვევი სალაროს შენობის წინ ტრამვაიმ გაიტანა უცნობი უპატრონო ბავში, რომელიც მოქალაქეებს მოწყალებას სთხოვდა.

◆ თავის დახრჩობა. 9 მარტს, ალექსანდროვის ქ., № 38, ვასილ სტეფანესძე მურონოვმა თოკით ჩამოიხრჩო თავი.

◆ გვამის პოვნა. 4 მარტს, სოფ. პატარა ლილოს ბოლოზედ, თბილისიდან 6 ვერსის დაშორებით „ღრმახევში" იპოვეს უცნობი მამაკაცის გვამი.

◆ შეპყრობა. 9 მარტს, შეიპყრეს ქურდები ასლან მამედ-ოღლი, შუხრი მამედ-ოღლი, ერტან ასლან-ოღლი და ქირათ არსატ-ოღლი.

◆ ქურდობა. 9 მარტს, ზაჰესში გაქურდეს მუშა მუსერიძის ბინა.

ხაშურის კოოპერატივის გაქურდვა

19 თებერვალს, გაძარცულ იქნა ხაშურის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება. მარტო ფართალი წაიღეს 800 მანეთის. ბოროტმოქმედებმა გაანგრიეს სახურავი და ბაწრით ჩავიდნენ მაღაზიაში. მიუხედავათ იმისა, რომ ენერგიული ზომები იყო მიღებული, ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

ბოლოს, 2 მარტს, თბილისში წააწყდნენ ცოლ-ქმარს ბორის და ნადეჟდა გრომოვებს, რომლებიც ერთ-ერთ მაღაზიის პატრონს უჩვენებდნენ ფართალს და ხელთ ეჭირათ საქონლის ნიმუშები.

გრომოვები დააპატიმრეს. მათ განაცხადეს ერთხმად, რომ ისინი ჩამოსული არიან როსტოვიდან და უნდათ მიჰყიდონ მაღაზიის პატრონს იქიდან ჩამოტანილი შალეული. როსტოვიდან „ჩამოტანილ" საქონელზე გასინჯვის დროს, აღმოჩნდა ქართულად წარწერილი „იარლიკები". ამის გამო გამოძახებულ იქნა კოოპერატივის გამგე ხაშურიდან, რომელმაც საქონელი იცნო.

გრომოვები აღმოჩნდნენ ჩამოსულები არა როსტოვიდან, არამედ გორიდან. მათი ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა კოოპერატივიდან წაღებული მთელი ფართალი და იგი გადაეგზავნა კოოპერატივს.

გრომოვების საქმე გადაეცა სურამის გამომძიებელს.

ა.

საბჭოთა სასამართლო

სახალხო ქონების გაფლანგვა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **პაპავას** თავმჯდომარეობით დაიწყო თბილისის აეროდრომის საამშენებლო კომისიის ყოფ. საქმეთა მმართველის სოკოლნიკოვის საქმის გარჩევა. სოკოლნიკოვს ბრალდება 2.605 მან. და 99 კაპ. გაფლანგვა.

ბრალს სდებს პროკურორი ამხ. **ქავთარაძე**, იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. **ამირალოვი**.

ბრალდებულს აღნიშნული თანხა გაუფლანგავს რამოდენიმე ხნის განმავლობაში.

ბრალდებულმა სასამართლოს წინაშე თავი დამნაშავეთ სცნო.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

ქიმიური „ომი" თბილისში

თებერვლის რევოლიუციის მეცხრე წლის თავზე, და ავიაქიმის არსებობის სამი წლის აღსანიშნავად, 12 მარტს, საბურთალოზე გაიმართება ქიმიური „ომი", რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქართულ - რუსული ჯარის ნაწილები.

საომარ ადგილზე მოწყობილი იქნება ყოველგვარი სახის ხელოვნური დაბრკოლებანი,—მავთულის ხლართები, სანგრები და სხვ.

ის ადგილი სადაც იწარმოებს აღნიშნული საჩვენებელ - საცდელი ომი შემოფარგლულია 2 კილომეტრის მანძილზე. მახლობელ მაღლობებზე მოთავსებული იქნებიან კერძო მაყურებლები. მაყურებლებათ მოწვეულ არიან ავიაქიმის საზ-ბის წევრები და კერძო მოქალაქენი.

თვით „ომის" სურათი ასეთი იქნება: ერთ მაღლობ ადგილს გაამაგრებს ოცეული. მას დაესხმება მოწინაალმდეგეს ასეული, რომელიც გზაზე აწარმოებს ხელოვნურ დაბრკოლებათა აფეთქებას. „მტრის" წინააღმდეგ დამხვდური ოცეული გაუშვებს გაზს, და მტერი შეიარაღდება გაზის საწინააღმდეგო ნიღაბებით და გაჩაღდება ბრძოლა. შემდეგ ჩაერევიან ცხენოსნები და არტილერია.

„ომი" დაიწყება დღის 12 საათზე. მაყურებლებს ახსნა განმარტებას მისცემენ სპეციალურათ დანიშნული პირები.

ამ „ომის", უფრო აღლუმის, მიზანია ხელი შეუწყოს ავიაქიმის იდეების გავრცელებას.

„ომს" გამართავს თბილისის გარნიზონის სამხედრო სამეცნიერო საზ-ბა.

ხელოვნება

პროფესორ ტრუსკოვსკის კლასის კონცერტი

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში 6 მარტს გაიმართა პროფესორ ტრუსკოვსკის ფორტეპიანოს კლასის საჩვენებელი საღამო. ეს კლასი ყველაზე დაწინაურებულად ითვლება ნიჭიერი მოწაფეების შერჩევის გამო და საღამო პროგრამაში შედიოდა ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შესრულება მოითხოვს მოწაფის მიერ ამ ნაწარმოების ყოველმხრივ გაგებას და განვითარებულ მუსიკალობას და ტეხნიკას. საანგარიშო კონცერტზე ყველაზედ უფრო კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს თამამშევამ (შოპენის ფანტაზია), ლოიკომ (ბეთხოვენის სონატა) ეპიტაშვილმა (ვაგნერის ფანტაზია. დანარჩენ შემსრულებლებს შორის ავღნიშნავთ ზომერს (ლისტის კონცერტი). წარმატება ემჩნევათ მოწაფე ქალებს ბადრიძეს და ხაბურზანიას,მაგრამ საესტრადიოდ ისინი ჯერ არ არიან მომზადებული. იგივე ითქმის კოპელიოვიჩზე და გლეზერზე. მუსიკალური არიან შტემბაუმის (შოპენის ბალადა) და კამოევა (პაბსტის ფანტაზია). მეტად ნიჭიერია მცირეწლოვანი ანდრიასოვი (11 წლის), მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო სიფრთხილე მის მიმართ იმ მხრივ, რომ მას შესასრულებლად უნდა ეძლეოდეს მისი ძალებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოები. შოპენის ეტიუდი ჯერ მისთვის მიუწდომელია. მეტად ნიჭიერია ფირალოვი, მაგრამ შუმანის სიმფონიური ეტიუდი მას ჯერ არა აქვს შესაფერად მომზადებული. კარგად დამუშავებული აქვ ასრიევს ლისტის ვარიაციები ბახის თემაზე, მაგრამ აქ საჭიროა კიდევ მეტი მუშაობა დამთავრებულობის მისაღწევათ.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ს. ინაშვილი დღეს იმღერებს ოპერა „ევგენი ონეგინ"-ში.

◆ მზეთა-მზე", რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დღეს რუსთაველის თეატრში, გადაიდო შემდეგი ხუთშაბათისათვის.

◆ „ლამარა". დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ ლავრენტი წერეთლის გარდაცვალება. ქუთაისში გარდაიცვალა სიმღერის და მუსიკის მასწავლებელი ლავრენტი გრიგოლისძე წერეთელი.

◆ ოპერა „განთიადი". სახელმწიფო ოპერაში დასადგმელად მიღებულია შ. თაქთაქიშვილის ახალი ოპერა „განთიადი".

◆ კინო-სცენარების კონკურსი. სცენარების წარდგენის ვადა სახელმწიფო კინო-მრეწველობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გაგრძელებულია 1 მაისამდე.

დღეს კინოებში

◆ სოლეი—„ნიბელუნგები".
◆ არფასტო—იგივე.
◆ მინიონი—„ტროის დაცემა".

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დურუჯი" „დინამო"

პარასკევს, 12 მარტს, დღის 12 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დურუჯი"-ს (ყოფ. ქავთარაძის სახელობის გუნდი) და „დინამო"-ს ამხანაგური შეჯიბრება.

ეს შეჯიბრი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, რადგან „დინამო" ამ შეჯიბრებაში გამოდის გაძლიერებული შემადგენლობით.

მიმდინარე საზამთრო სეზონმა დაგვანახვა, რომ გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში მთავარ მეტოქეობათ გამოვლენ „დურუჯი" და „დინამო". ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი—წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი „დურუჯთან" შეჯიბრებაში ორჯერ დამარცხების შემდეგ გამოვიდა მწყობრიდან. თუმცა ამ ჟამად არის ცდა ამ გუნდის ხელახლა შესაკრებად და გადასახალისებლად, მაგრამ ცოტაა შანსები იმისა, რომ წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი დაიბრუნებს დაკარგულ უპირატესობას.

ამრიგათ, პირველი კატეგორიის გუნდებს შორის რჩება ორი ძლიერი გუნდი—„დურუჯი" და „დინამო", რომელთაგან ჯერჯერობით პირველი რიგში მიდის „დურუჯი".

პირველი შეჯიბრება ამ გუნდებს შორის გათავდა 2:1 „დურუჯის" სასარგებლოთ.

პარასკევის შეჯიბრება ერთგვარად გენერალური რეპეტიცია იქნება სეზონის დაწყების წინ; ამ შეჯიბრებაში ორივე გუნდი შეამოწმებს თავის ძალებს, გაითვალისწინებს თავის შეცდომებს და სუსტ მხარეებს და უფრო მომზადებული ჩაებმება გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში.

„დინამო" უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაძლიერდა; გუნდში თავმოყრილია რამოდენიმე კარგი მოთამაშე. ფეხბურთელთა ასეთი მობილიზაცია მოასწავებს იმას, რომ „დინამო"-ს სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი პირველობა არ დაუთმოს „დურუჯს".

გუნდების შემადგენლობა ასეთია:

„**დურუჯი**": ალ. პაპკოვი, ან. ფოჩხუა, გ. თაყაიშვილი, იმნაძე, ბასიშვილი, ქუთელაძე, ქებაძე, ვაჩნაძე, ბასიშვილი, გუნია და ბეგიშვილი.

„**დინამო**": ცომაია, თედეევი, პიტერსკი, ან. ჟორდანია, გონელი, ბლანკმანი, ვახ. ამბუკაძე, ვოლკოვი, იზიუმსკი, გალპერინი და ცომაია ვლ. ამ შემადგენლობაში შეიძლება მოხდეს ცვლილება.

შეჯიბრის მსაჯული დანიშნული იქნება ფიზკულტურის თბილისის საბჭოს მიერ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

იუსტიციის სახალხო კომისრისა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. მარტის 6-ის № 11 „ამნისტიის შესახებ" დადგენილების შეფარდებისათვის

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის, მარტის 6-ის № 11 დადგენილების შესასრულებლად წინადადებას ვიძლევი მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. საპატიმრო ადგილების უფროსებმა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ქალები, რომელნიც იხდიან სოციალურ დაცვის ღონისძიებას სასამართლოს განაჩენით ან საადმინისტრაციო დაწესებულებათა დადგენილებით ისეთ დანაშაულისათვის, რომლისათვის სისხ. სამ. კოდ. მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 თავებში, (152 მუხლის გამოკლებით), კანონით დაწესებულია სოციალური დაცვის ღონისძიება ფულადი ჯარიმის, იძულებითი მუშაობის ან და ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით. ასეთ ქალთა სიები, ყველა საჭირო ცნობების აღნიშვნით, წარედგინოს სათანადო პროკურორებს ამნისტიის შეფარდების სისწორის შესამოწმებლად.

2. სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებმა ამნისტიის შეფარდების დროს და პროკურატურის ორგანოებმა ამნისტიის შეფარდების სისწორით შემოწმების დროს იქონიონ მხედველობაში, რომ ამ ნისტიის 1-ლ მუხლის შენიშვნის ძალით განაჩენის და დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ყოველგვარ ფულად და ქონებრივ გადახდევინებას, როგორიც არის: ქონების კონფისკაცია, საჭციზო, საბაჟო, საგადასახადო და სხვა წესების დარღვევისათვის დანიშნული გადახდევინებანი, აგრეთვე გადახდევინება სამოქალაქო სარჩელის გამო—უნდა მოყვანილ იქნენ სისრულეში იმის დამოუკიდებლად, რომ მსჯავრდადებული ქალი ამნისტიის ძალით განთავისუფლებულია სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიებისაგან; ამასთანავე სოციალური დაცვის ღონისძიების სახით დანიშნულ ფულად დაჯარიმებაზე ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა ჯერ არ არის გადახდევინებული.

3. ამნისტიის შეფარდება ისეთ ქალთათვის, რომელნიც იხდიან იძულებით მუშაობას, ევალება საპატიმრო ადგილების მთავად სამმართველოს.

4. ისეთი საქმე, რომელიც მოსპობილ უნდა იქნეს № 11 დადგენილების 2 მუხ. ძალით, გამოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა წარმართონ მოსასპობად სისხ. სამ. საპრ. კოდექსით დამყარებულ წესისამებრ (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 105 და 203 მ. მ.); ხოლო ისეთი საქმე, რომელიც განხილულია, მაგრამ მის შესახებ განაჩენი ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში, მოსპობილ უნდა იქნეს იმ სასამართლო დაწესებულების გამწესრიგებელ სხდომაზე, სადაც იგი ამჟამად იმყოფება ან და იმ საადმინისტრაციო დაწესებულების დადგენილებით, რომლის მიერ იქნა დანიშნული გადახდევინება.

5. საქმე, რომელიც მოსპობილ უნდა იქნეს, უკეთუ იგი დაკავშირებულია სამოქალაქო სარჩელთან, სისხლის სამართლის წესისამებრ მოსპობის შემდეგ უნდა წარიმართოს სამოქალაქო სამართლის წესისამებრ განსახილველად, ხოლო სასამართლოს ბაჟის გადაუხდევინებლად.

6. სასამართლოს და სხვა სათანადო დაწესებულებას ამნისტიის მე-4 მუხლი შეუძლია შეუფარდოს მარტოოდენ ისეთ მსჯავრდადებულ ქალს, რომელსაც დანაშაული ჩაუდენია 1926 წლის მარტის 8-მდე.

7. საპატიმრო ადგილის უფროსებმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოში იმ ქალების სია, რომელნიც ეკუთვნიან მშრომელთა წრეს და იხდიან თავისუფლების აღკვეთას, რათა მათ შეეფარდოთ № 11 დადგენილების 3 მუხლი; ამნისტია უნდა შეეფარდოს როგორც იმ ქალს, რომელმაც უკვე მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ნახევარი ვადა, აგრეთვე იმასაც, რომელსაც ჯერ იგი არ მოუხდია, ხოლო ამ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნენ ამნისტიის 3 მუხლში აღნიშნული პირობები.

8. ამნისტიის შეფარდება დამთავრებულ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა ინსტრუქციის მიღებისა, რის შემდეგ სათანადო დაწესებულებებმა უნდა წარადგინონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებაში იმ პირთა სია, რომელთაც შეეფარდათ ამნისტია.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი **ი. ვარძიელი**.
1926 წ., მარტის 9.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს 11 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

სავალდებულოა დასწრება კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრების და აგრეთვე იმ ამხანაგების, რომელთა ანკეტები დამტკიცებულ უნდა იქნეს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის მიერ.

საქ. ლენ. კომკავშირის თბილ. კომიტეტის საორგ. განყოფილების გამგის მოადგილე **ნონიკაშვილი**.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იწვევს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში 11 მარტს, დილის 10 საათზე შემდეგ ამხანაგებს:

თოდრია ს., პეტროვი (კავკას. წითელდროშოვან არმიის პოლიტ. სამ.), გიკი (ამიერ-კავკასიის მუშ. და გლეხ. ინსპექც.) და თაქთაქიშვილი („პოსლკრ."), უჯრედთა გამოკვლევის გასაგებათ.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, ა/წ. 11 მარტს, ქალაქის აღმასკომის შენობაში, საღამოს სრულ 6 საათზე გაიმართება რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედთა მდივნების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. ორგანიზაციების შემადგენლობის ზრდის და მოწესრიგების შესახებ.
2. წავკისის თემში საბჭოთა ხელახალი არჩევნების შედეგების შესახებ.

ქალაქის რაიკომის მდივ. **გობეჯიშვილი**.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 11 მარტს საღ. 5 საათზე რაიკომის შენობაში გაიმართება მე-2 რაიკომის მიმღებ კომისიის სხდომა.

მდივანი **ფანცულაია**.

პროპაგანდისტთა კურსების ქართული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა გაიმართება დღეს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ.-მუშაობის კაბინეტში.

საგიტ.-საპროპ. განყოფ. მდივანი.

ღრმად დამწუხრებული: დედა ეკატერინე, ძმები დავით და ნიკოლოზ, დები ოლია და ლიდა, რძლები მაშა და ბაბუცა პანკოტაძეები, სიძე—ილარიონ კიკვაძე, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. [illegible] გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ვლადიმერ (ვალოდია) გიორგის ძე
ჭანკოტაძე

დაკრძალვის დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.
1819 1—1

უსაზღვროდ დამწუხრებული: ძალუები ანა ევგენის ასული, ელისაბედ იორდანეს ასული, ბიძა გიორგი იორდანესძე, რძლები პელაგია ივანეს ასული, ანა ტიტეს ასული, ბიძაშვილები—ქეთევანი, ლევანი, ნიკოლოზი, მიხეილი, იროდიონი, დავითი, გრიგოლი და არჩილ ნანობაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

ალექსანდრე (საშა) იროდიონის ძე
ნანობაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 11 მარტს, დღის 4 საათზე, საკუთარი ბინიდან, პლეხანოვის პრ. № 157.
1818 1—1

ღრმად დამწუხრებული ქვრივი მაშიკო, გაუბედურებული დედა ივლიტა, დები ბაისო ლასხიშვილისა და ვერა ცეცხლაძისა, დისშვილები ანტონ და თამარა ლასხიშვილები, ცოლისძმები—ვარლამ და ჭიჭიკო ახვლედიანები, ცოლისდები—მინადორა მდივნიშვილისა და ელენე ახვლედიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

რაფიელ ანტონის ძე ჩიჯავაძე

გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან 11 მარტს, საღამოს 5 საათზე თფილ. სადგურზე, იქიდან სოფელ ვანში, სადაც მოხდება დაკრძალვა, სამშაბათს, 16 მარტს. 1816 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ლიზა, მამა რევაზი, ბიძები—ლუარსაბი, სიმონი და ნიკოლოზი, ძმები—მიშა და პავლე, დები—ნადო, ვარინკა და ცუფა, ბიძაშვილები—ვერა, ოლია, ალექსანდრე, იერემია, სერგი და ბესარიონი, ბიცოლები—ოლღა, მარიამი, კალისტინე და ერმონია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარგალიტა გალდავა-დეკანოზიძისა

დასაფლავება ქ. თბილისში პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, 11 მარტს, გამოსვენება საკუთარი ბინიდან ორთაჭალას ბაღი № 29.
1821 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ოლღა, შვილები: ვარლამ და ვლადიმერი, რძალი ქსენია, ძმა ნესტორ, რძალი ელისაბედი, შვილები: ივანე, გრიგორი, ელენე, ალექსანდრე და თამარა ჩახავები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 9 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მაქსიმე ფარნას-ძე ჩახავა

დაკრძალვა 13 მარტს, სოფ. სერგიეთში. 1822 1—1

გულმოკლული და ღრმად დამწუხრებული დედა—ოლღა შარაბიძისა; შვილები პლატონი, ნინო, თამარი, მარო და ელენე, ბიძაშვილები: ბესარიონი, მართა და პოლიქსე შარაბიძენი ოჯახითურთ; მამიდაშვილი თედორე დარახველიძე ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ჟორჟიკა (გოგი) შარაბიძე

პანაშვიდი ხუთშაბათს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა პარასკევს, 12 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება სახლიდან ნაძალადევი, ლოტკის ქუჩა, № 30. 1827 1—1

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარიამ, თამარა, სოლომონ, ანტონ (კოწია), ნიკოლოზ და ვახტანგი; შვილისშვილები: ბიძინა, ქართლოს, ნუცა და თინიკო; რძლები: ნინო და ოლღა; დისწული არეთა ჯოლოგუა; ცოლისძმა დავით კანდელაკი და სიძეები—ტარასი მორჩაძე და გრიგოლ დანგაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

იასონ მანუჩარის ძე
ახვლედიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, ხუთშაბათს, მარტის 11-ს, 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (თავისუფლების მოედნის მეორე შესახვევი, № 36). 1796 2—2

ა/კ. რკინ. გზის საშემოსავლო სამსახურის თანამშრომლები აუწყებენ მეგობართ და ყველა გულშემატკივართ, რომ, ა/წ. 7 მარტს გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

ა. ლ. ნანობაშვილი

პანაშვიდი 10 მარტს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის № 157 გამოსვენება ხუთშაბათს 11 მარტს 4 საათზე, დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1811 1—1

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА"
в МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ ВНУТРИ КОРОБКИ

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

ავადმყოფობათა წამლობა
პროფესორ ბროუნ სეკარის წესის მიხედვით.
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან".

„გალენ-მოსკოვის" კოოპერატივის ორგანოტერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებული პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მიღების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULARUM SPIRITUOS
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН МОСКВА"
в МОСКВЕ

სეკარის სითხე იყიდება საფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენის" ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. Адрес: Зак. представит. коопер. „Гален" Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ". Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва" Москва ул. Герцена № 5 отд. 3. Б.862 0—3.

ა.-კავკასიის რკინის გზების გამგეობა აცხადებს შეჯიბრებას

თბილისის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის შენობის პროექტის შესადგენათ. შენობა უნდა იტევდეს 400 მოწაფეს ინტერნატით—120 კაცს. შენობასთან ცალკე განზრახულია სახელოსნოს აშენება

შეჯიბრების საერთო პირობები

1. პროექტი უნდა შეიცავდეს: ნახაზებს, გეგმებს, ფასადს, გეგმებს გაჭრით და ხარჯთაღრიცხვას.
2. პროექტი უნდა იქნას წარდგენილი ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობაში ოთახი № 211, ვაგზლის ქ. 1, არა უგვიანეს ა/წ. 15 აპრილის დღის 12 საათისა.
3. ჟიური შეუდგება წარმოდგენილ პროექტების განხილვას 15 აპრილს,
4. საუკეთესო მოწონებულ პროექტებისათვის შესასრულებელ ნახაზთ გადაკეთებით და ხარჯთაღრიცხვით დანიშნულია 2 პრემია:
   - **პირველი**—1.500 მან.
   - **მეორე**—1.000 მან.
5. ჟიურის მიერ დაწუნებული პროექტები უკანვე უბრუნდება ავტორებს.
6. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში (ოთახი № 211), დღის 12—2 საათამდე მეცადინეობის დღეებში.

გამგეობა

3—3 ნ. 870

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი № 10—49

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ დაავადებათ ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—18

სახელმწიფო ოპერა დღეს, 11 მარტს,

ევგენი ონეგინი

სანდრო ინაშვილის გასტროლი

შაბათს, 13 მარტს

ლალატი

ოპერა იპოლიტოვ-ივანოვის. ალეშკოს მონაწ.
დადგმა ალ. წუწუნავასი.

3—2 ნ. 890

შრომის სკოლების საყურადღებოდ.

იყიდება საძერწავი თიხა

სამხატვრო აკადემიის საკერამიკო სახელოსნოში. სკოლებს 50 პროც. დათმობით.

2-1. გრიბოედოვის ქ. № 24 შესავალი ეზოდან.

თანახმად აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა

№ 3440 და ბათუმის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოს ბრძანებისა № 315 ქ. ფოთის მ. გ. მილიციის თანამშრომელი და სახალხო სასამართლოს აღმასრულებელის მოადგილე პ. კობალაძე ამით აცხადებს, რომ 20 მარტს დღით შაბათს 10 საათზე ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ანდრი ფარნაოზის ძე ხორავას ქონების, დასაკმაყოფილებლათ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტის აჭარისტანში სავაჭრო კანტორისა 4556 მანეთი და 10 კაპ. ხსენებული ქონება მდებარეობს ქ. ფოთში 1-რაიონში სამეგრელოს ქუჩაზე ერთი შერეული მასალებისაგან სახლი ხუთი განყოფილებით ზედვე მიშენებული სამზარეულო აივნით დახურული კრამიტით, აგებული ნაკვეთ მიწაზე № 23 ქვეშ ხოლო ძველი გეგმით კი № 405, ზომით 382 $^{5}/_{10}$ კვადრატიული საჟენი. საზღვრებთა შორის აღმოსავლეთით ნოკოგოსოვის და თურქიას მამული დასავლეთით სამეგრელოს მოედანი. სამხრეთით სამეგრელოს ქუჩა და ჩრდილოეთით ნაკვეთი მიწა № 404 ირინე დოლიძისა, რომელიც შეფასებულია 4.000 მანეთად. ვაჭრობა მოხდება შეფასებიდან; აღნიშნული სახლი დაგირავებული აქვს თვით კანტორას. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს გირაოთ შეფასების თანხის 10 პროც. ყოველივე ამ საგანზე ცნობის მიღება შეიძლება ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა დილის 9 საათიდან 3 საათამდე ქ. ფოთის 1-ლ რაიონის მილიციის სამმართველოში.

ქ. ფოთის მუშ. და გლეხ. მილიციის თანამშრომელი და სახ. სასამართ. აღმასრულებელის მოადგილე **კობალაძე**.

1820 1—1

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის
საბუღალტრო კურსები
თხოვნის მიღება იწარმოებს 15 მარტამდის

ან ხელოსნების კლუბში მდივანთან პლეხანოვის პროსპექტი № 66, ან კურსების გამგე ი. ს. ტერ-სტეფანოვთან. 1 თუმანოვის ქ. № 18 ქვ. 1825
1—1

ქუთაისში
ეგონ პეტრი

მართავს ორ გამოსათხოვარ კონცერტს (12 და 13 მარტს) სამშობლოში დაბრუნების წინ. ბილეთები იყიდება სახელმწიფო მუსიკალურ ტრესტის წარმომადგენლობაში—„მუსმრეწ"-ში წულუკიძის ქ. № 45.

1—1 ნ. 893.

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—7.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—25

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ. № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის) 25—8

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ, საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ, საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ხიდის მახლობლად 25—2

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნე ბი, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე. ტრიპერი) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 25—17.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—7

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—12

ექიმი მ. ა. ლუკოვიჩი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან 2 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტკორპ უკან. 25—7

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82 25—13

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—12.

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწ. რიცხვებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77 25—7

თვალის ექიმი ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო. 25—3

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5 დე. პლეხანოვის [illegible] № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექ. ვასილი ნიკიფორესძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—3

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე. (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35. 25—1

ექიმი ი. ი. ჩაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და სღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—25

დ. აბაშა
კბილის ექიმმა ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—17

კბილის ექიმი ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—17

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზის სპნეიმოტორაკსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 სღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23. 25—17

ექიმი თოდაძე
ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ჰეპები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—და სხვ.).
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.
საღამოს 4—6 საათამდე
ბელგიის ქუჩა № 1. 25—24

თანახმად საქართ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის 62 მუხლის ქ. თბილისისა აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს რომ მოქ. ალი მეჯიდის ძე ბეზბუდოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის „ბეზბუდოვი"-ს „შუშინსკი"-თ შეცვლის შესახებ.
საერთო საადმინ. ქ/განყ.
უფროსი **კილურაძე**.
მმაჩის ბიუროს უფროსი **შარაძენიძე**.
1—1 1828

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი არტემ ოსიკმაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1815 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 67703 ანტონ ივანის ძე გლაგოვსკის სახელზე. ჩ. გ. 1824 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 68254 შუხოშვილის სახელზე. ჩ. გ. 1823 1—1

ტირაჟი—24.246
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა. 68